

გარიბანის ჭაბურღილზე.

# ახალ წლამდე 3 დღე დარჩა!

## ზაზა მამულაიშვილი: აშშ წამყვან სამეცნიერო ცენტრებში დაადასტურეს — არის საქართველოში დიდი ნავთობი. მიიღეთ ეს ინფორმაცია ქართველ მენავთობეთა საახალწლო ნობათად!

**პერსპექტივა**

### სიღრმეში ჩასული იმედი,

### ანუ არ გირჩევთ იყოთ გამონაკლისი

ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ: გარიბანის ნავთობსარეწზე ვესაუბრებით მთავარ ზედამხედველს უილიამ სიმპელს. შეკითხვა ასეთი იყო: — მისი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე საქართველოში მუშაობა (სხვასთან შედარებით) რთულია?

— არავითარი განსაკუთრებული სირთულე საქართველოში არ არის. პირიქით. მაგრამ შეიძლება სირთულე ვუწოდოთ იმას, რომ აქ დასაქმებულ ადგილობრივ კადრებს ტარიბანაში დამონტაჟებულ ჭაბურღილზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ და ამიტომ, საერთოდ ძნელი მუშაობის საწყისი ეტაპი, ამ მიზეზით, ცოტა არ იყოს, შენელდა.

ახლა კარგად ავეწყვეთ. მაგრამ საბაჟოს მოქმედება ჩემთვის ზოგჯერ გაუგებარია. და თუ ამ ურთიერთობას გაგვიადვილებენ (ჩვენ ეჩქარობთ, საბაჟო კი გვამუხრუჭებს), საერთო საქმეს წაადგება.

სამუშაო ფრონტი ტარიბანის ნავთობსარეწზე დაპრესილია და მაქსიმალურად კონცენტრირებულია ერთ ადგილზე — ჭაბურღილის გარშემო.

ასეც უნდა იყოს ფიზიკის ელემენტარული კანონით — რაც უფრო მცირდება შეხების ზედაპირი, იზრდება დაწოლის ძალა, რაიც ასე სჭირდება მილებს, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო ჩადის სიღრმეში — იქ, სადაც 800 მეტრის ნიშნულზე ტემპერატურა ცელსიუსით 50 გრადუსს აღწევს.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „სრ" № 352.

იხ. მე-2 გვ.



ზაზა მამულაიშვილი — „ფრონტერას" პრეზიდენტი.

**იუბილე:** ვახტანგ ფიფია — 70 გვ. 4. **ჩანართი:** დედოზარი გვ. 5-8.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ. №353 (3394) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1999 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ.

**კანონმდებლები**

### ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტმა საკმაოდ მწვავე დებატების შემდეგ, 28 დეკემბერს რიგგარეშე სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე 115 მომხრით 57-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ".

აღნიშნული კანონპროექტი, როგორც ეს არაერთხელ ითქვა, ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საგადასახადო კონტროლის შემდგომი გამკაცრების მიზნით, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით მოამზადა.

იხ. მე-2 გვ.

**პრეზიდენტი**

## რონალდ გეგენფურტნერი: „ვისურვებდი, რომ ქართველ პატარებს ჩემი დახმარება აღარ დასჭირდეთ"

**ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲜᲤᲣᲠᲢᲜᲔᲠᲘ მსოფლიოში ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწეა. მის ორგანიზაციას — „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალს" კავშირი აქვს ორმოცამდე ისეთ ქვეყანასთან, რომელთაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ.**

საქართველოსთან მისი ურთიერთობა 1995 წელს დაიწყო, როცა „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალმა" საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იკისრა საქართველოში ობოლი და ავადმყოფი ბავშვებისათვის დახმარების გაწევა. მას შემდეგ დღემდე, გერმანელი ქველმოქმედის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში სისტემატურად ჩამოდის დიდძალი ჰუმანიტარული ტვირთი. მიმდინარეობს ბავშვების სამედიცინო გამოკვლევა და მათთვის მედიკამენტების მოწოდება. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა გერმანიის სამედიცინო ცენტრებში საოპერაციოდ ასამდე მძიმე ავადმყოფის წაყვანა. საქართველოში დაბრუნებულები, ჯანმრთელობის სრული რეაბილიტაციისათვის ისევ გეგენფურტნერის მეთვალყურეობის ქვეშ არიან. აღსანიშნავია, რომ „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალი" ავადმყოფის მგზავრობის, დაბინავების და სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მთლიანად თვითონ კისრულობს.

ორგანიზაცია, ასევე, ახორციელებს ჰუმანიტარულ აქციებს აფხაზეთიდან ლტოლვილი და სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად.

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ობოლი და ავადმყოფი ბავშვებისათვის გაწეული დახმარებისა და ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, რონალდ გეგენფურტნერს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით 28 დეკემბერს გამართულ საზეიმო ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ქველმოქმედს გაწეული ღვაწლისათვის. „კაცობრიობისათვის დიდი შენაძენია თქვენნაირი ადამიანები, საქართველოს ბავშვებმა თავად გამოსცადეს ეს სიკეთე, რომელსაც თქვენ მრავალ ქვეყანაში თესავთ. განსაკუთრებული მადლობა ასზე მეტი ბავშვის განკურნებისათვის მინდა გითხრათ,"— მიმართა სტუმარს ედუარდ შევარდნაძემ.

რონალდ გეგენფურტნერის განცხადებით, მისთვის დიდი პატივია საქართველოს საპატიო მოქალაქეობა. „ამ წოდებასაც ქართველი ბავშვების დასახმარებლად გამოვიყენებ, თუმცა, ვისურვებდი, რომ ისინი ჯანმრთელად იყვნენ და ჩემი დახმარება არასოდეს დასჭირდეთ".

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.**



ᲑᲔᲡᲘᲙ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**Თ. ᲛᲐᲠᲢᲝᲚᲔᲙᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ საბანკო-საფინანსო სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში, საბანკო დარგის სპეციალისტთა მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება „აგრომრეწვბანკის" მცხეთის ფილიალის მმართველი **თამაზ მარტოლეკი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მხედრული ვალის მოხდისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ავტომეურნეობის მძღოლი-თანამშრომელი, პოლიციის ზემდეგი **გოჩა ჯავახიშვილი** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის".

**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**

**მაღალი რეგისტრი**

### ვინ — ვინ დაჰკარგა?

ᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, დღეს იშვიათობად ქცეული, გამოძახილია რუსული და ქართული ინტელიგენციის ერთ დროს არსებული მეგობრობისა, რომელმაც თავის დროზე მოსკოვში შემოიტანა მოდა ყოველივე ქართულზე, წერს **მიხეილ ქირმუნსკი** წერილში „საქართველო, რომელმაც დაგვკარგა" გაზეთ „ნოვიე იზვესტიაში", და განაგრძობს: იური ბაშმეტმა მორიგ კონცერტზე წარმოადგინა ქართული მუსიკის უთვალსაჩინოესი პერსონალიები — თბილისელი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე და კომპოზიტორი გია ყანჩელი, რომელიც ამჟამად ანტვერპენში ცხოვრობს.

იხ. მე-2 გვ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კახიძე, ბაშმეტი და ყანჩელი — განუყრელი ძმები.

**კადრები**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**Მ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ **მიხეილ მაჭავარიანი** საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრად.

**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**



**გიხაროდეთ!**

### როცა სიცოცხლე ასე ხალისობს

№5 ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ სახლიდან ბებიაქალმა იამზე ერისთავმა სიხარულით გვამცნო 11 ახალშობილის დაბადება — 7 ქალისა და 4 ვაჟისა.

**ჯანმრთელები, ქვეყნის სასახელო შვილები გაიზარდონ. ვულოცავთ მათ მშობლებსა და ახლობლებს!**

* * *

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ სამშობიარო სახლიდან გინეკოლოგმა ნანა რამაზიშვილმა გვაუწყა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში აქ 6 ქალმა იმშობიარა. ლია მათურელ-ჯაბანაშვილი სოფელ დულუზებიდან გოგონას დედა გახდა, სოფელ გოჯიანებიდან ანელი ყოჩიაშვილ-ბაგაშვილსაც გოგონა შეეძინა. თიანელმა დარეჯან ზარქუა-გონჯილაშვილმა, მელასხეველმა ფიქრია ბუჯიაშვილ-იარაჯულმა თავიანთი ოჯახები ბიჭუნების შეძენით გაახარეს, საყდრიონელ ნაზი ხარაზიშვილ-წიკლაურსა და სოფელ დულულებიდან ჩამოყვანილ ქეთევან ბაგაშვილ-ქერაულს გოგონები ეყოლათ.



**ვულოცავთ ახალგაზრდა ოჯახებს და კვლავაც გამრავლებას ვუსურვებთ!**

**ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ: 93-34-04; 99-73-24.**

**ფაქტი**

### ამჯერად ბომბი ენერგოსისტემას ესროლეს

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი უსიამოვნო, მე ვიტყოდი, ტრაგიკული ფაქტის მომსწრე გავხდით — წინასაახალწლო დღეებში, როცა ქვეყნის ენერგოსისტემა უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რათა მოსახლეობისთვის (და არა მარტო მოსახლეობისთვის) საზეიმო განწყობა აემაღლებინა, უკეთურმა ძალებმა კიდევ ერთხელ მოახერხეს ერისთვის მძიმე ტკივილი მიეყენებინათ — მოულოდნელად ელექტრომეურნეობიდან გამოირთო 500-კილოვატიანი ხაზი „ქართლი-1", რომელიც ქვეყნის დასავლეთის ენერგოსისტემას აღმოსავლეთთან აკავშირებს.

და ისევ წყვდიადი, უკუნეთი სიბნელე. რა მოხდა, ვინ და რატომ ჩაიდინა ეს სისასტიკე? ამის თაობაზე ვესაუბრებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐᲡ.

იხ. მე-2 გვ.

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ**

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების საერთო სისტემის ფორმირება, რაშიც ამ რეგიონის სამი რესპუბლიკის გარდა, რუსეთი, თურქეთი და ირანიცაა დაინტერესებული, არარეალურია, — განუცხადა პრაიმ-ნიუსს აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ასიმ მოლაზადემ.

მისი აზრით, თვალნათელია, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე სამხედრო მოქმედებათა პროვოცირებას.

**ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ**

ᲤᲘᲠᲛᲐ „სონი-5"-მ, იჯარით აიღო ბათუმის საკონსერვო ქარხანა. ხანმოკლე რემონტის შემდეგ საწარმომ დაიწყო უხარისხო მანდარინის მიღება და გადამუშავება. კილოგრამი მანდარინისთვის აქ 8 თეთრს იქვე უხდიან ჩამბარებელს.

ქარხანაში დამზადებულ პიურეს უკრაინაში გაგზავნიან. სულ 500 ტონა პროდუქციის დამზადებას აპირებენ. მაგრამ თუ ციტრუსს კვლავაც მიაწვდიან, მისი მიღება და გადამუშავება გაგრძელდება.

**ინფორმაცია**

**ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ**

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტრო ახალი წლის ღამეს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას კატეგორიულად კრძალავს.

როგორც პრაიმ-ნიუსს შსს შტაბის უფროსმა ედუარდ გენძეხაძემ უთხრა, სროლის შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლები 2-3 იანვარს მიაკითხავენ კანონდამრღვევთ.

**„ᲐᲖᲝᲢᲛᲐ" ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ**

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ სააქციო საზოგადოება „აზოტმა" მიმდინარე წელი მოგებით დაასრულა — საწარმომ 42 მილიონი დოლარის პროდუქცია აწარმოა და მილიონამდე დოლარი მოიგო.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲞᲠᲐᲘᲛ-ᲜᲘᲣᲡᲛᲐ.**

**უკანასკნელ საათს**

ᲑᲣᲨᲘᲜ რუსეთის ფედერალურმა ძალებმა აიღეს მნიშვნელოვანი სიმაღლე, საიდანაც მთლიანად აკონტროლებენ გროზნოს. წუხელ ვედენოში შევიდნენ რუსეთის საზღვაო ქვეითები.

ᲑᲣᲨᲘᲜ კანდაღარის აეროპორტში ტერორისტებმა ისევ უარი თქვეს ქალებისა და ბავშვების განთავისუფლებაზე. ისინი დამატებით 200 მილიონ დოლარს ითხოვენ.

ᲑᲣᲨᲘᲜ თურქმენეთის პარლამენტმა სპეციალური გადაწყვეტილებით სამუდამო პრეზიდენტობა „მიუსაჯა" ქვეყნის ახლანდელ მმართველს საფარმურატ ნიაზოვს.

**SIC!**

## გარიბალდი ფოთში,

### ანუ უშიშროების გენერალი ლიდერობით იმუქრება

ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘ ცუდი მრჩეველია.

სიძულვილით დაბრმავებული კაცი ვერც მართლად იქმს და ვერც მართლად განსჯის.

ეს მოუზომაობა და აუწონაობა ადრეც მრავალგზის შეგვინიშნავს საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის უხვ ინტერვიუებში, რომლებითაც დროდადრო გადაჭრელდება ხოლმე რუსეთის გაზეთები. მაგრამ ისეთი ზღვარდაუდებელი, როგორიც გაზეთ „ზავტრას" 21 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, — იშვიათად. „იგორ გიორგაძე: შევარდნაძე პასუხს აგებს ყველა დანაშაულისათვის", — ასე ჰქვია მის საუბარს ამ მემარცხენე რადიკალური გაზეთის ჟურნალისტ (რედაქტორ) ალექსანდრე პროხანოვთან.

ერთმანეთს ხელება დღევანდელი (და ალბათ — ხვალინდელი) საქართველოს სიძულვილით გულგასიებული ორი კაცი და ბოლმას ანთხევს.

იხ. მე-3 გვ.

**ფინანსები**

### ლარის კურსი

*ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9921 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9150 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9403 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 ლარი |

**დღეს**

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მაღალ მთაში თოვლი.

ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲨᲘ: ღამით +6+11; დღისით +10+15.

ᲛᲗᲐᲨᲘ: ღამით +2+7; დღისით +4+9.

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲗᲐᲨᲘ: ღამით -3+2; დღისით 0+5.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მაღალ მთაში თოვლი.

ᲑᲐᲠᲨᲘ: ღამით 0+5; დღისით +7+12.

ᲛᲗᲐᲨᲘ: ღამით -2+3; დღისით +3+8.

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲗᲐᲨᲘ: ღამით -1-6; დღისით 0+5.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით მცირე წვიმა, სუსტი ქარი. ღამით +3+5; დღისით +8+10.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

**მადლობა**

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ᲓᲠᲛᲐᲓ პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ჩვენმა ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე მამა და ბაბუა. დიდია ჩვენი ოჯახისთვის მიტროფანე კუჭავას გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი, აუნაზღაურებელია დანაკლისი, უსაზღვროა ჩვენი სევდა.

ასეთ მძიმე წუთებში ვღებულობთ ქვეყნის პირველი პირის, საქართველოს პრეზიდენტის სამძიმარს, სადაც, თქვენ ბატონო პრეზიდენტო, აღნიშნეთ, რომ საქართველოს საზოგადოებას გამოაკლდა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე.

მთელი ჩვენი ოჯახი ულრმეს მადლობას გიხდით ყურადღებისა და თანაგრძნობისთვის და გისურვებთ ჯანმრთელობას ერის და თქვენი ოჯახის საკეთილდღეოდ.

**ᲛᲘᲢᲠᲝᲤᲐᲜᲔ ᲙᲣᲭᲐᲕᲐᲡ ოჯახი.**

## იგორ გიორგაძე სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას და ლანძღავს ქვეყნის ინტელიგენციას.

საქართველოს რესპუბლიკა
№353. ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1999 წელი.

## დოკუმენტი

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს პარლამენტი ადგენს:**

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, ,17-18, 9 მაისი, 1997) 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 31. სახელმწიფო მინისტრი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები

1. საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობს სახელმწიფო კანცელარიას და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებით შეუძლია შეასრულოს მისი შემდეგი ცალკეული დავალებები:

ა) საქართველოს პრეზიდენტთან დღის წესრიგის წინასწარი შეთანხმების შემდეგ მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომებს სოციალურ, ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ფისკალური პოლიტიკის საკითხებზე; მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი დღის წესრიგით განხილულ საკითხებზე;

ბ) კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენასთან და მის შესრულებასთან დაკავშირებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობას; წარუდგინოს პრეზიდენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაში;

გ) მონაწილეობა მიიღოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებაში;

დ) წარუდგინოს პრეზიდენტს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის განმსაზღვრელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები;

ე) კოორდინაცია გაუწიოს სამთავრობო დაწესებულებების ურთიერთობას პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებაში კანონპროექტების მომზადებას;

ვ) მონაწილეობა მიიღოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელების კანდიდატურების შერჩევასა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენაში;

ზ) შეასრულოს საქართველოს პრეზიდენტის სხვა ცალკეული დავალებები.

2. სახელმწიფო მინისტრი ახორციელებს მე-16 – მე-17 მუხლებით და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

3. სახელმწიფო მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე – სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მოადგილეები.

4. სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს – სახელმწიფო კანცელარიის უფროსს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო მინისტრის წარდგინებით.

5. სახელმწიფო მინისტრის მოადგილეების რაოდენობას და მათ შორის მოვალეობების განაწილებას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო მინისტრის წინადადებით.

6. სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილებათა ფარგლებში, კოორდინაციას უწევენ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მუშაობას; ახორციელებენ ღონისძიებებს საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის სამართლებრივი აქტების შესრულების უზრუნველსაყოფად; წინასწარ განიხილავენ საქართველოს მთავრობის სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარდგენილ წინადადებებსა და სამართლებრივი აქტების პროექტებს; ასრულებენ სახელმწიფო მინისტრის სხვა დავალებებს".

II. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19 ნოემბერი, 1996) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17[1] მუხლი:

„მუხლი 17[1].

1. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომლის იურიდიული ძალაც განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება მის უფლებამოსილებათა სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

3. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი".

2. მე-19 მუხლის პირველ პუნქტს „ე" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]" ქვეპუნქტი:

„ე[1]) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება";

3. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვების „საქართველოს მინისტრის" წინ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სახელმწიფო მინისტრის,".

4. 38-ე მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვის „დადგენილება" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება".

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 43[1] მუხლი:

„მუხლი 43[1].

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი".

6. 54-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვა „პარლამენტისა" შეიცვალოს სიტყვებით „პარლამენტის, სახელმწიფო მინისტრისა".

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი,**
**1999 წლის 24 დეკემბერი.**

## პერსპექტივა

# სიღრმეში ჩასული იმედი,

## ანუ არ გირჩევთ იყოთ გამონაკლისი

(პირველი გვერდიდან)

ცხელა ჭაბურღილზე, როგორც ხედავთ, არა მარტო გადატანითი მნიშვნელობით. ხოლო ფიზიკის კანონის თავისუფალი ინტერპრეტირება მაპატიოს სულგრძელმა მკითხველმა.

კონცენტრირებული სამუშაო პოლიგონი სრულიადაც არ ნიშნავს კნინ მასშტაბს. პირიქით – დიდია მასშტაბი. ამ სიდიდეს კი სახსრები სჭირდება, რა თქმა უნდა, არა მცირე.

– დაფინანსების პრობლემა ხომ არა გაქვთ? – ვეკითხები „ფრონტერა რისორზის კორპორეიშნის" პრეზიდენტს ზაზა მამულაიშვილს.

– ეს საკითხი პრობლემად არასოდეს დამდგარა, ვინაიდან ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მთავარ პირობად პირველივე დღიდან გათვალისწინებულია, რომ პროექტის დაფინანსება მთელი 25 წლის განმავლობაში, დაფინანსებასთან დაკავშირებული მთელი რისკი აღებული აქვს „ფრონტერას" მხარეს. არანაირი სირთულე ამ ჭრილში ერთობლივი მუშაობის უკვე სამი წლის მანძილზე არა გვქონია.

– სამაგიეროდ, როგორც მთავარმა ზედამხედველმა ჟილიამ სიმპელმა თქვა, არის გარკვეული სირთულეები საბაჟოსთან ურთიერთობაში, კერძოდ, ყოვნდება მანქანა-იარაღების გატანა-შემოტანა, რაც ანელებს სამუშაოთა ტემპს.

– მე ამას არ შევაფასებდი, როგორც პრობლემას. ამ სახის ოპერაციები, მოგეხსენებათ, არცთუ დიდი ხნის წინათ დაიწყო საქართველოში. სულ ახლახან მიიღო პარლამენტმა კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ, ცვლილებები შეიტანა საბაჟო კოდექსში. ამასთან, საქმე გვაქვს სრულიად ახალ კონტრაქტუალურ ურთიერთობებთან, ამიტომ გარკვეული დაბრკოლებები იყო. სიახლის სიძნელეები, მე მგონი, უკვე გადავლახეთ და მომავალში, ჩვენ და საბაჟო გამოცდილებას რომ დავაგროვებთ, უფრო გაიოლდება საქმე.

– საწყის ეტაპზე ქართული კადრების საკითხიც იდგა, მათი კვალიფიკაციის საკითხი, უფრო კონკრეტულად, იტალიურ საბურღ დაზგაზე მუშაობის ათვისების პრობლემა.

– კადრების მომზადების საკითხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში გვაქვს, მათ შორის, აქ, ჭაბურღილზეც. მეტსაც გეტყვით, გარკვეული ხნით გავახანგრძლივეთ მოსამზადებელი სამუშაოები, რათა სპეციალისტები უკეთ დაუფლებოდნენ ახალ ტექნოლოგიას. ზოგიერთმა მათგანმა იმდენად კარგად გაართვა ამ ამოცანას თავი, რომ ამჟამად უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ვიდრე გათვალისწინებული გვქონდა. სამომავლოდაც სერიოზული პროგრამა გვაქვს დამუშავებული იმ მიმართულებით, რომ მაქსიმალურად შემცირდეს უცხოელთა რაოდენობა, ქართველი სპეციალისტების რიცხვი კი გაიზარდოს.

– საახალწლოდ ყველას თავ-თავისი იმედი და სურვილი აქვს. მაგრამ არის ერთი საერთო-საქვეყნო სურვილი და იმედი – ტარიბანის ნავთობის მოპოვების დაწყება...

– სულ ორიოდე დღის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც თავის ამერიკელ კოლეგებთან ერთად ამუშავებდა ტარიბანის ნავთობის საბადოზე მოპოვებულ მასალებს. სწორედ მათ ჩამოგვიტანეს შესანიშნავი საჩუქარი საახალწლოდ: ის მოლოდინი, რომელიც ტარიბანის საბადოს პოტენციალთან დაკავშირებით გვქონდა, რეალურად, დოკუმენტურად, მეცნიერულ დონეზე დადასტურდა. ლაპარაკია იმ საბადოზე, რომლის ათვისებასაც ვიწყებთ.

– ესე იგი, პრეზიდენტი შევარდნაძე, 30 დღის წინათ აქ რომ თქვა: – ვდგავარ და ვხედავ, რომ ქვევით ნამდვილად არის ნავთობიო, მართალი ყოფილა.

– მართალი ყოფილა, – იმავე ტონალობაში მიპასუხებს ზაზა მამულაიშვილი, – იმდენად მართალი და სწორი, რომ ბატონ პრეზიდენტს გვინდა ვთხოვოთ, მომავალ გაზაფხულზე კვლავ გვესტუმროს, რადგან აქვე, ახლოს მეორე საბადოა და იქნებ გვირჩიოს, ღირს თუ არა სამუშაოს დაწყება.

* * *

ორშაბათს ტარიბანის ველზე ადრე ჩამობნელდა. მოთოვს? ნეტამც ინებოს, თორემ დაიმაშხა უნალექოდ მიწა.

კახეთში, უკუნი სიბნელე იყო. ორი თვეა, შუქი არ ჩაურთავთ კახეთისათვის, ხოლო ის ორი დღე, როცა მისცეს, ჩემს იქ ყოფნას არ დაემთხვა...

ცოცხალ ძარღვად ფეთქავდა მხოლოდ ცენტრალური გზატკეცილი, პულსირებდა სინათლის არტერია, როგორც იმედი, რომელიც თუ დაკარგე, დაიღუპები.

თქვენ გეგულებათ გამონაკლისი?

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ" სპეც. კორ.
დედოფლისწყარო–თბილისი.

**P. S.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ ინგლისურმა ნავთობის კომპანიამ „შლუმ-ბერჟემ", რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი გეოფიზიკური გამოკვლევებით, ქართველი ექსპერტები აზერბაიჯანში კვლევითსაძიებო სამუშაოების ჩასატარებლად მიიწვია.

ა.ს.



**სურათზე:** ორშაბათს ტარიბანის ველზე ადრე ჩამოღამდა.

ჯემალ კასრაძის ფოტო.



### სახელმწიფო მინისტრი – აჭარაში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე დღეს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით აჭარაში გაემგზავრება.

მთავრობის ბოლო სხდომაზე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო მინისტრს დაავალა გაეცნოს შექმნილ სიტუაციას ავტონომიური რესპუბლიკის იმ მაღალმთიან რაიონებში, რომლებიც ბოლო პერიოდში ძლიერი წვიმების შედეგად წამოსული მეწყერებისა და წყალდიდობისგან დაზარალდნენ.

### კეთილმეზობლობა – გეოპოლიტიკური იმპერატივი

„საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და კვლავ არის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ფორმირება და განვითარება, კეთილმეზობლობა რუსეთთან – ეს არის საქართველოს გეოპოლიტიკური იმპერატივი", – ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

### გენერალ მანილოვის თქმით...

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი მანილოვმა გუშინ განაცხადა, რომ ჩეჩნეთში რუსეთის სამხედროები ამჟამად ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ბოევიკები დაღესტანში, ინგუშეთში ან საქართველოში არ გადავიდნენ. მეორეს მხრივ, ფედერალური ჯარები გამოქვაბულებში გადამალული იარაღის განადგურებას ცდილობენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.**

## კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნენ:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ – **ამირან გამყრელიძე;**

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეებად – **მიხეილ ჯიბუტი, მანონ ხაჩიძე, ოთარ ბარათაშვილი, თენგიზ ჯინჯოლავა, მარინე ლუდუშაური.**

## ფაქტი

# ამჯერად ბომბი ენერგოსისტემას ესროლეს

(პირველი გვერდიდან)

– ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, – **ამბობს შემფოთებული მინისტრი,** – ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბოროტი ძალები ცდილობენ კიდევ უფრო დაადაბლაონ ისედაც ქანცგამოცლილი ქვეყნის ენერგოსისტემა. ეჭვი არ მეპარება, ეს გააკეთა წინასწარ კარგად მომზადებულმა ჯგუფმა, რომელმაც იცოდა, რომ 500-კილოვატიანი ხაზის გამორთვა დიდ სიძნელეს შეუქმნიდა, ხერხემალში გადატეხავდა საქართველოს ენერგეტიკას.

**– კერძოდ, რა ადგილზე მოხდა ეს დანაშაული და რა დონის ზარალი მიაყენეს ქვეყანას?**

– დანაშაული ჩადენილია გომბორის გზის დასაწყისიდან 2-3 კილომეტრის დაცილებით, სადაც მაღალი ძაბვის ელექტროსადენი 13,5 კილომეტრზეა ჩამოხსნილი. მისი ღირებულება 25-45 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს.

**– თქვენი ვარაუდით, დამნაშავეები ამ რაოდენობის დოლარმა დააბრმავა?**

– არა მგონია, ისინი უპირველესად ქვეყნისადმი მიმართულმა აუგმა დააბრმავა. ჩემი აზრით, მათ დოლარებზე უფრო მეტად ქვეყნის დესტაბილიზაცია აინტერესებდათ. მათ უნდათ შექმნან ვითარება, უფრო სწორედ, ქაოსი, რომელიც დემოკრატიის გზაზე მიმავალ ქვეყანას ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კოლაფსში გადაჩეხავს.

**– გამოდის, რომ ყველაფერი ეს დივერსიული ჯგუფის „ნამოღვაწარია"?**

– მე არა ვარ ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ბოროტმოქმედთა „ნამუშევარს" იურიდიული კვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ყველა გზას რომ დივერსიისკენ მივყევართ, ეს ფაქტია.

**– ამას, რა თქმა უნდა, გამოძიება დაადგენს. თქვენ კი რას აკეთებთ იმისათვის, რომ ქვეყანა საახალწლო დღეებში (და შემდგომშიც) წყვდიადში არ იყოს?**

– ყველაფერს. მთელი ენერგოსისტემა მობილიზებულია იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში ძალები აღიდგინოს და საახალწლოდ მოსახლეობას სინათლე ჰქონდეს. ბრიგადები უკვე მუშაობენ, მიმდინარეობს ხაზის აღდგენა. მეც ახლა იქ გავრბივარ.

**– შეძლებთ კი ამის გაკეთებას?**

– უნდა შევძლოთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. მინდა ხალხმა იცოდეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, მთავრობა, ენერგეტიკოსები მის გვერდით დგანან და არავითარ დესტაბილიზაციას არ დაუშვებენ.

მჯერა, რომ ასეც იქნება. ბოროტი ძალები „მუშაობენ" (მათ ამჯერად ბომბი პრეზიდენტის ავტომანქანას კი არა, ენერგოსისტემას ესროლეს), მაგრამ არც ქვეყნის მოკეთენი სხედან უქმად.

**ოთარ ხუციშვილი.**

## კანონმდებლები

# ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის მიერ შემოტანილი ვარიანტით თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და წარმოება (თამბაქოს ნედლეულის გარდა) დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის ნაცვლად დაიბეგრება ფიქსირებული გადასახადით ფილტრიანი სიგარეტი 40 თეთრით 1 კოლოფზე, უფილტრო – 30 თეთრით. ამავე დროს, იმპორტული სიგარეტის მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით არ იბეგრება, ხოლო თამბაქოს ნაწარმის საქართველოში წარმოება და მისი შემდგომი მიწოდება იბეგრება დღგ ნულოვანი განაკვეთით.

ამავე დროს, კანონპროექტით გათვალისწინებულია შეღავათიანი პერიოდი იმ მეწარმეებისათვის, რომლებსაც აქციზური მარკები შეძენილი აქვთ ამ კანონის ამოქმედებამდე. ამ კატეგორიას 2000 წლის 1 თებერვლამდე უნარჩუნდება დაბეგვრის ამჟამად მოქმედი რეჟიმი. რაც შეეხება თამბაქოს ნაწარმისათვის ნედლეულს („ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს გარდა), იგი 2002 წლის 31 დეკემბრამდე საბაჟო გადასახადით არ დაიბეგრება.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის მიღებასთან ერთად, პარლამენტმა ცვლილებები და დამატებები შეიტანა, აგრეთვე, საქართველოს კანონში „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ".

განხილვას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, მათ შორის სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

* * *

საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 28 დეკემბერს მოახდინა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის დახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ" ოქმის და „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კოსოვოში თურქეთის რესპუბლიკის სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში გასაგზავნი ქართული სამშვიდობო ოცეულის შესახებ" შეთანხმების რატიფიკაცია.

* * *

ახალმა პარლამენტმა საქართველოს იუსტიციის საბჭოს ახალი წევრები აირჩია. პარლამენტის გადაწყვეტილებით, იუსტიციის საბჭოს წევრები გახდნენ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წევრი კობა დავითაშვილი და ფრაქციათა კოალიცია „საქართველოს აღორძინების" წევრი გრიგოლ (გოჩა) პაიჭაძე.

პარლამენტმა ასევე დაადასტურა მიხეილ სააკაშვილისათვის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრობის უფლებამოსილების გაგრძელება.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წინადადებით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნა კიდევ ერთი დროებითი საპარლამენტო კომისია, „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისია".

ფრაქციამ კომისიის თავმჯდომარედ გურამ შარაძის კანდიდატურა დაასახელა. 114 მომხრით და 36 წინააღმდეგით კანდიდატურა ვერ დამტკიცდა. როგორც ითქვა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა თებერვალში, პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო.

### რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაასრულა

28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაასრულა.

სამდღიანი მუშაობის შემდეგ პარლამენტმა ამოწურა რიგგარეშე სესიის სავარაუდო დღის წესრიგი. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ცვლილებები და დამატებები შეიტანა 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში, საგადასახადო კოდექსში, მიიღო დადგენილება საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დანიშნა ახალი–საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ხელმძღვანელობა. პარლამენტმა ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანით ფუნქციები გაუზარდა სახელმწიფო მინისტრს. აირჩიეს იუსტიციის საბჭოს წევრები და რატიფიკაცია გაუკეთეს საერთაშორისო დოკუმენტებს. პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ", ხოლო ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე მომუშავე დროებითი კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია აირჩია.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის საქართველოს საზღვაო სანაოსნო საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის არჩევას, ეს საკითხი ისევე როგორც უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელისა, პარლამენტმა საგაზაფხულო სესიისათვის გადადო.

პარლამენტმა განიხილა და მიიღო კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ამით პარლამენტის რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაასრულა, რის დასტურადაც აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

პარლამენტი თებერვლამდე არდადეგებზე წავიდა. თებერვალში კი მუშაობას საგაზაფხულო სესია დაიწყებს.

**საქინფორმი.**

## კრიმინალი

# საახალწლოდ თბილისი აღარ ჩაბნელდება

**პოლიციამ სულ რამდენიმე საათში დააკავა მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზიდან სადენების გამტაცებლები. იყო ეს დივერსია თუ ძარცვა, გამოძიება დაადგენს**

27 დეკემბერს საღამოს საქართველოს ყველა სატელევიზიო და რადიოარხმა ქვეყნის მოსახლეობას ფრიად შემაშფოთებელი ამბავი აუწყა: სოფელ სართიჭალას მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ენგურჰესი – „თბილსრესის" დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე ჩამოჭრეს 13,5 კილომეტრი, 13 ტონა ფოლად-ალუმინის „აც-400" მარკის სადენი.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ (და არა მარტო მან) გამოთქვა ეჭვი, რომ ეს იყო გამიზნული დივერსიული აქტი, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ახალი წლის დღეებში თბილისის უშუქოდ დატოვება.

მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზის გაძარცვის ამბავი 27 დეკემბერს 17 საათსა და 35 წუთზე გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილების დიდი ლილოს ქვეგანყოფილებას აცნობა „საქენერგოსისტემის" ხელმძღვანელობამ.

ამ წუთიდან, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და ოპერატიული სამსახურები, რათა სასწრაფოდ დაედგინათ ბოროტმოქმედთა ვინაობა და დაეკავებინათ ისინი. ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, მანამდე აღმოეჩინათ გატაცებული ელექტროსადენი, სანამ მას დაჭრიდნენ და გაყიდნენ.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი ჯემალ გაბელია და ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ალეკო ბუკია, მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამართველოს, გარდაბნის პოლიციის განყოფილებისა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მაგისტრალების № 1 განყოფილების თანამშრომლები.

მათი ენერგიული და პროფესიული მოქმედების წყალობით დანაშაული სულ რამდენიმე საათში გაიხსნა და ოთხი ეჭვმიტანილიც „ცხელ კვალზე" შეიპყრეს.

პოლიციის ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე შენიშნეს ორი საეჭვო ავტომანქანა, ერთი თეთრი „გაზ-31" და მეორე – სატვირთო ავტომანქანა „ზილ-150". დაფიქსირდა მათი სახელმწიფო ნომრები.

ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, მაგრამ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების № 1 განყოფილების თანამშრომლებმა გომბორის პოსტზე დააკავეს „გაზ-31", რომელსაც ყოველგვარი საბუთების გარეშე მართავდა რუსთავში მცხოვრები ზურაბ რევაზიშვილი. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს, გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილებისა და დიდი ლილოს ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ლოჭინის ხიდთან დააკავეს ავტომანქანა „ზილ-150", რომელსაც მართავდა ასევე რუსთავში მცხოვრები თემურ აგლაძე. იმავე ტერიტორიაზე ფეხით მიმავალი კიდევ ორი საეჭვო პირი – რუსთავის მცხოვრებნი გიორგი მიგრიაული და თემურ ფუხაშვილი დააკავეს.

ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებით დადგინდა, რომ 26 დეკემბერს თემურ აგლაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ სამ პირს, რომლებთან ერთადაც წინასწარი შეთანხმებით „ქართლი-1"-ის მაღალი ძაბვის ხაზზე გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ანძებიდან ჩამოჭრა და მოიპარა ელექტროსადენები. მათი ნაწილი წაიღეს და გადამალეს გარდაბნის რაიონის სოფელ ალთაგლაში ხორცკომბინატის ტერიტორიაზე ერთ-ერთ შენობაში. პოლიციამ უკვე ამოიღო ეს სადენები.

27 დეკემბერს თ. აგლაძე კვლავ დაუკავშირდა ზურაბ რევაზიშვილს და მესთავაზა სართიჭალაში დარჩენილი ელექტროსადენების მოპარვა. მაგრამ როცა ადგილზე მივიდნენ, ისინი იქ მომუშავე ენერგეტიკოსებმა შეამჩნიეს, რის გამოც დარჩენილი სადენების გატაცება ველარ მოახერხეს.

თ. აგლაძემ და ზ. რევაზიშვილმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. ჩამოჭრილი და დატაცებული ელექტროსადენები, როგორც დანაშაულის ნივთმტკიცება მთლიანად ამოღებულია. ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დასადგენად და დასაკავებლად.

გამოძიება, რომელსაც აწარმოებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გარდაბნის განყოფილება, არ გამორიცხავს, რომ ამ დანაშაულში ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ, რადგან სხვა ვერავინ შეძლებდა მაღალი ძაბვის ქვეშ მყოფი მაგისტრალური ელექტროსადენის ჩამოხსნას.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

## მაღალი რეგისტრი

# ვინ – ვინ დაჭკარგა?

(პირველი გვერდიდან)

მაესტრომ კონცერტი გახსნა რიჰარდ შტრაუსის პოემით „სიცოცხლე გმირისა". შეარჩია რა რთული თხზულება ამ ორკესტრისათვის, რომელსაც შტრაუსი [illegible] მაინც [illegible] მუსიკოსებისათვის „შტრაუსისეული" [illegible].

მეორე განყოფილებაში კახიძემ პირველად უდირიჟორა თავისი მეგობრის გია ყანჩელის ახალ თხზულებას – „სტიქსი ალტის, გუნდისა და ორკესტრისათვის". მისი მსოფლიო პრემიერა ამ ცოტა ხნის წინათ ერგო ამსტერდამის მსმენელს. ახლა მოსკოვშიც ტრიუმფით დადასტურდა ყანჩელის, როგორც იშვიათი კომპოზიტორის რეპუტაცია, რომელსაც ხელეწიფება თანამედროვე სამუსიკო საშუალებების „ადამიანური" სახის ჩვენება.

ყანჩელმა, როგორც მას სჩვევია, მსმენელს უშუალოდ მიმართა მისი სამყაროს მეშვეობით და მოსკოველებს გაახსენა ქართული ხელოვნების ყველაზე მიმზიდველი თვისებები, ხელოვნებისა, რომელშიც სიცოცხლის უსაზღვრო სამხრეთული სიყვარული ორგანულად ეხამება და ერწყმის მის ღრმა შემეცნებას.

საქართველოს რესპუბლიკა
№353. ოთხშაბათი. 29 დეკემბერი. 1999 წელი.



## SIC!

(პირველი გვერდიდან)

საერთოდ, დაკვირვება გვიჩვენებს, – როგორც კი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კაბადონი მოიღრუბლება, ჩრდილოეთში ნაფტალინიდან იმ წუთას ამოქექავენ გენერალ ი. გიორგაძეს, მტვერს ჩამოფერთხავენ და მისით რომელიმე გაზეთს დატენიან.

არადა, რომ ჰკითხო, რაგინდ დიდმოხელეც იყოს, დაიფიცავს, – დედა მომიკვდეს, იგორ გიორგაძის ადგილსამყოფელი არ ვიცითო.

სადღაც წამიკითხავს, ცნობილი რუსი ემიგრანტი პიანისტი და კომპოზიტორი რახმანინოვი კულისებში ლაღად ჰყვებოდა ანეკდოტებს, სცენაზე კი მგლოვიარე სახით გადიოდა, რათა პუბლიკას მხოლოდ ასე – სამშობლოს ბედით მარად მწუხარე ეხილაო.

იგორ გიორგაძე რახმანინოვს ბაძავს: ყოველ ინტერვიუში ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, გულანთებული პატრიოტი და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული კაცი ვარო.

რახმანინოვი დიდი ხელოვანი იყო და ის პოზაც გამოსდიოდა.

## გარიბალდი ფოთში,
### ანუ უშიშროების გენერალი ლიდერობით იმუქრება

იგორ გიორგაძეს მოაზროვნის ამპლუა არ უხდება, მან, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შეიძლება მოაწყოს შეთქმულება, აფეთქება, რაღაცის ან ვიღაცის ლიკვიდაცია და ა. შ. მაგრამ როდენის „მოაზროვნის“ მსგავსად ნიკაპი მუშტზე დაიყრდნოს და ზოგადსაკაცობრიო თემებს მისცეს თავი, – არამც და არამც.

ეგეც არ იყოს, სიძულვილი არ აძლევს ამის საშუალებას.

წაიკითხავ ინტერვიუს და დარწმუნდები: ამ კაცს ოდენ ე. შევარდნაძის სიძულვილი ამოძრავებს, სხვა დანარჩენი „მშობლიური და ძვირფასი საქართველოს“ ჩათვლით, სულაც ფეხებზე ჰკიდია.

მეტ, ასე იწყებს ინტერვიუს, ერთადერთი პრობლემით ვარ დაკავებული, უახლოეს ხანში როგორ გავათავისუფლო საქართველოს ხალხი საძულველი ხელისუფლებისგანო: სამწუხაროდ, ყველას არ ესმის, რომ შევარდნაძის დანაშაულებრივი ხელისუფლების საპარლამენტო გზის შეცვლა შეუძლებელიაო.

სდექ!

აი, ეს გახლავთ თავი და თავი, – ე. შევარდნაძის ხელისუფლების საპარლამენტო გზით შეცვლა შეუძლებელია.

მაშ რაღა დარჩა?

ი. გიორგაძეს მოვუსმინოთ: „ამჟამად საკითხი ასე დგას. საქართველოს ხალხი მორჩილად დაელოდება მორიგ არჩევნებს, თუ პრეზიდენტს განუცხადებს „კმარა“ და არ მიაწევინებს მას საპრეზიდენტო არჩევნებამდე“.

კაცი მთლად ბრიყვი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რა იკითხება სტრიქონსა და სტრიქონს შორის, როცა ჯერ ამბობ, ე. შევარდნაძის ხელისუფლების კანონიერი გზით შეცვლა შეუძლებელიაო და იქვე რეცეპტს სთავაზობ, – პრეზიდენტს საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ უნდა მივაწევინოთო...

დიდი იმედი აქვს, როცა „აღშფოთებული სახალხო გონი ზედაპირზე ამოტყორცნის ლიდერებს“, ამოტყორცნილთა შორის უპირველესი და უსაჩინოესი თვითონ იქნება; იგი, მამაცი კომანდორი, უხელმძღვანელებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, საერთო სახალხო პროტესტის ტალღას.

თუმცა, რა სამომავლოზე და საალბათოზეა ლაპარაკი: – „მე და ჩემი თანამოსაგრენი დღეს ვმუშაობთ ხალხის შესადუღაბებლად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოსაწოდებლად“.

როცა უშიშროების გენერალი და მისი თანამოსაგრენი (რომელთაგან უმრავლესნი, ალბათ, ისევ უშიშროების სამსახურის წიაღ იქნებიან აღმოსულნი) ხელს ჰკიდებენ ამ საქმეს, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ქვეყანა თოფის წამლის სუნით გაჯერდება და სისხლის მდინარეები იდენს.

„მოაზროვნე“ გენერალი ფრთხილობს, ხალხი ამას არ მიმიხვდესო და მორცხვად აცხადებს, შინაგანად სამოქალაქო ომის წინააღმდეგი ვარ, თორემ რა ხანია გარიბალდივით დავბრუნდებოდი საქართველოში, ჩემი ლაშქრობა ფოთიდან თბილისამდე რამდენიმე დღეში დასრულდებაო.

რატომ მაინც და მაინც ფოთიდანო, ქართველი გარიბალდი არ აკონკრეტებს, თუმცა ეს ძნელი გასათვლელი არ უნდა იყოს: ან რუსული კრეისერით შემოსვლა ჰქონდა უზურში, ან იმ რეგიონის გარკვეულ ფენებზე შესაძლო დაყრდნობის შესახებ მიგვანიშნებს ნართაულად.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ გარიბალდის თავისი პაციფიზმის შესახებ წელან გაცხადებული მომდევნო აბზაცში ავიწყდება და იმუქრება, თუ შევარდნაძე აღშფოთებული ხალხის მოთხოვნებს თავის ძალას დაუპირისპირებს, ვერც წარმოიდგენს, რა სასტიკ დარტყმასაც მიიღებსო.

ერთი სიტყვით, როგორც „ჯარისკაცის მამაშია“: „ჩტო სლუში, სიჩას იესტ, ა სიჩას ნეტ, და?“

ასეთი გახლავთ პაციფისტი გენერლის ლოგიკა. ამიტომაც აცხადებს, საქართველოში იმისდა კვალობაზე დავბრუნდები, როცა ხალხი, ბოლოს და ბოლოს, გაერთიანებას გადაწყვეტს და მიიღებს იმ ძალას, რომელსაც ძალუძს საქართველოს გაერთიანება, რომელსაც მე და ჩემი თანამოსაგრენი წარმოვადგენთო.

უშიშროების გენერალი და მისი თანამოსაგრე პოლკოვნიკები რა ძალასაც წარმოადგენენ და რა უბედურების მოტანაც შეუძლიათ, ამაზე ზემოთაც ვთქვით. ესეც არ იყოს, საქართველოს ამაზე მარჩიელობა არ სჭირდება, ისედაც მშვენიერად იცის.

რაიხსკანცლერის ბუნკერში გამომწყვდეული ჰიტლერი არარსებულ დივიზიებს აგზავნიდა ფრონტებზე, სასურველ სინამდვილედ ასაღებდა.

იგორ გარიბალდი „მოსახლეობის 85 პროცენტის მხარდაჭერას“ ეყრდნობა (თურმე სწორედ და ზუსტად 85 პროცენტია პრეზიდენტ ე. შევარდნაძის წინააღმდეგი). მისი მომხრე ყოფილა არმიის 60 პროცენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა 70 პროცენტი და სპეცსამსახურების დაახლოებით 60 პროცენტი. ოღონდ ამ ზღვა მომხრეთა შორის ინტელიგენციის, „ელიტის“ იმედი მაინცდამაინც არ აქვს, ამიტომაც ლანძღავს გულდაგულ)...

პოდა, მოსახლეობის დანარჩენი 15 პროცენტი, თავისი ერთგული ძალოვანი სამსახურების 30-40 პროცენტიანად, ახლავე უყრიდეს თავს ბაწარში, ის დროა!

კიდევ კარგი, ეს პროცენტები იგორ გამაერთიანებლის სიძულვილით დაბნელებულ გონებაში არსებობს.

თუმცა, მასაც უნდა გაუგოს კაცმა, – ის, უბრალოდ ვალდებულია თავისი პატრონები დაარწმუნოს, რომ სინამდვილეში რაღაცას წარმოადგენს. პოდა, თხზავს რაც შეუძლია. ამდენი მარცხის შემდეგ, იმ პატრონებს, ეტყობა, მას ადრე აუმღვრებულ პროფესიონალიზმშიც ეჭვი შეეპარათ.

ამიტომაც გულდამწვარი ამბობს, შეურაცხმყოფს ჩემს პროფესიონალიზმში დაეჭვება, მე რომ ე. შევარდნაძის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა მიმეღო, დღეს აქ კი არა, თბილისში ვისხდებოდითო.

მაგრამ ეს „საბუთი“ ეტყობა ვეღარავის აჯერებს, მით უფრო, როცა ციცხვმა იცის, ქოთანს რა ოქროს ფსკერიც აქვს. არ არსებობს დანაშაული, რომელსაც ი. გიორგაძე საქართველოს პრეზიდენტს არ ჰკადრებდეს: სსრ კავშირის დანგრევითა და რუსეთის დაშლის სურვილით დაწყებული, აფხაზეთში და შიდა ქართლში ომის გაჩაღებით, საქართველოს ტერიტორიის ჩეჩნეთისათვის ომის საწარმოებელ პოლიგონად გადაქცევით, ნავთობსადენების დასავლეთის მიმართ კაპიტულანტური მოსაზრებით მშენებლობით და 1972 წლის შემდეგ თუ ვინმე მოკვდარა საქართველოში, ყველას მკვლელობის ორგანიზებით დამთავრებული.

და რაც მთავარია: ქვეყნის საკუთარი ინტერესების და არა რუსეთის, რუსეთის ინტერესების შესაბამისად პოლიტიკური კურსის განხორციელება.

დაბოლოს. გამოცდილება გვიკარნახებს, როცა რუსეთის პრესაში გიორგაძიადა აგორდება ხოლმე, ფხიზლად უნდა იყო, რაღაც სისაძაგლეა მოსალოდნელი.

აკი წამოსცდათ: პრეზიდენტს საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ უნდა მივაწევინოთო (რაკი არჩევნების გზით მას ვერ დაემარცხებთო).

ეს საშიშროება ანგარიშგასაწევია, რაკიღა მას გენერალი ი. გიორგაძე კისრულობს, რომელსაც ერთი შანსი კიდევ ეძლევა და რომელსაც, საქართველოს მოსახლეობის 85 პროცენტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურები კი ჯერჯერობით მართლაც უჭერენ მხარს.

**კობა მდივანი.**

## ნარკომანიის წინააღმდეგ

# როდესაც გადასახადის გაზრდა ხალხის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

### მეცნიერები მიმართავენ საქართველოს პარლამენტს და მთავრობას

**სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 21-22 დეკემბერს გაიმართა, მეცნიერებმა კიდევ ერთხელ ნათელყვეს ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა და თამბაქოს წევის სოციალური და სამედიცინო თვალსაზრისით უარყოფითი შედეგები – შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების, ავთვისებიანი სიმსივნეების, ციროზის და ა. შ. ზრდის ტენდენცია, სოციალურად საშიში ქცევების გაფართოება. დასაბუთებული იყო ისიც, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები უახლოეს დროში, ეროვნული კატასტროფა გარდაუვალი იქნება.**

**კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ, სამოქალაქო ომმა, სულიერ ღირებულებათა დევალვაციამ, აღზრდის სისტემის ნგრევამ, წარსულში არსებულმა და წარმატებით მოქმედმა ნარკოლოგიური სამსახურის მოშლამ, სამართლებრივი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობამ ხელი შეუწყვეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის გაფართოებას. შეშფოთებას იწვევს ის, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ნარკომანიის გავლენის ქვეშ ახალგაზრდობის, ქალების, სოფლის მოსახლეობის მეტი რაოდენობა ექცევა, ნარკომანიის მასობრივი გავრცელების ტენდენციის პარალელურად ყალიბდება მცენარეული სახეების ნარკოტიკების წარმოების და გასაღების შიდა ბაზარი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წარმომადგენლები ინტერესს იჩენენ საქართველოსადმი, როგორც ნარკოტიკების სატრანზიტო სახელმწიფოსადმი.

საქართველოში ნარკომანიის გავრცელებას მოჰყვა შიდსით და ვირუსული ჰეპატიტ ც-თი დაავადებულთა რიცხვის ზრდა. მძიმე დანაშაულობათა საკმაოდ დიდი პროცენტი ნარკომანიის მიზეზით არის ჩადენილი.

საგანგაშო ხასიათს იღებს ალკოჰოლიზმის გავრცელების მასშტაბი. მოზარდების, ახალგაზრდების დიდი ნაწილი მასობრივად ეტანება ალკოჰოლს, დაფიქსირებულია ალკოჰოლიანი სასმელებით მძიმე ტოქსიკური მოწამვლის, სიკვდილიანობის შემთხვევები, ალკოჰოლის სისტემატიურად მიღების დროს ირღვევა იმუნიტეტი, მატულობს ფსიქოზების რაოდენობა. ბევრი მძიმე დანაშაული სიმთვრალეშია ჩადენილი. ალკოჰოლის ჭარბი მიღების და თამბაქოს წევის შედეგია სიმსივნეები და გულის იშემიური დაავადებები.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის პირადი ინიციატივით პირველად საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოში მოხდა ნარკომანიის, როგორც საშიში სოციალური მოვლენის აღიარება და ჩამოყალიბდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვნად დაკნინებულია.

შექმნილი მდგომარეობის გამო, პირველ რიგში, აუცილებელია ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის და თამბაქოს წევის მავნე შედეგების წინააღმდეგ პრევენციის, მკურნალობის და რეაბილიტაციის სისტემის აღდგენა და განვითარება, განსაკუთრებით, სარეაბილიტაციო სისტემის თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე დაყენება, ნარკომანთა საველდებულო მკურნალობა, ნარკომანთა მედიკამენტოზური სოციალური რეაბილიტაცია თერაპიულ კომუნებში, ქალებისა და მოზარდებისათვის სპეციალური სამსახურის შექმნა და სხვა. ამისათვის კი საჭიროა, სახსრები, რაც ამჟამად სახელმწიფოს არა აქვს. ერთადერთი გამოსავალია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს გადასახადის გაზრდით (რაზეც ამჟამად მსჯელობს მთავრობა და პარლამენტი) შემოსული თანხების გარკვეული პროცენტის მიმართვა ნარკომანიასთან საბრძოლველად, როგორც ეს ხდება ყველა განვითარებულ ქვეყანაში ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად.

დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, თამბაქოს წევის მავნე შედეგების დაძლევა.

**სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის სახელით:**

**გულნარა ჩაფიძე,**
აკადემიის პრეზიდენტი;

**ავთანდილ კვეზერელ-კოპაძე,**
**დავით გეგეშიძე,**
აკადემიის ვიცეპრეზიდენტები;

**სოსო კაპანაძე,**
**გელა ლეჟავა,**
**ლევან მამალაძე,**
**აბელ მამარდაშვილი,**
**გიორგი ნანეიშვილი,**
აკადემიკოსები;

**აკაკი გამყრელიძე,**
**ია დავითაია,**
**ზურაბ შენგელია,**
წევრ-კორესპონდენტები.

თბილისი,
1999 წლის 25 დეკემბერი.

## სიმართლე კი ასეთია

# ნუ დავარღვევთ ისტორიის ჭეშმარიტებას

**„მონღოლებისა და არაბებისაგან ქართველებს გადასახადი რომ ჰქონდათ დაკისრებული, ის პერიოდი სამოთხე იყო დღევანდელთან შედარებით“, – ზურაბ ქაფიანიძე.**

ნამდვილად ყურადღებას არ მივაქცევდი, ბატონო ზურაბ, თქვენს ამ გამონათქვამს, რომ არ ვიცოდე საქართველოსა და მისი ისტორიისადმი თქვენი სიყვარული.

წავიკითხე გაზეთ „ახალ თაობაში“ თქვენი წერილი და უაღრესად გავკვირდი. ნუთუ დაგავიწყდათ არაბობისა და მონღოლების შემოჭრის ის სიმწარე, რასაც ჩვენი მამა-პაპანი გადმოგვცემენ მელნითა თუ ცრემლით, გოდებითა და მოთქმით.

მძიმეზე მძიმე იყო არაბთა უღელი ქართველებისათვის, მიწებზე, ვენახებზე და წისქვილებზე დაწესებული მათი „ხარაჯა“ საშინელ ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას, ხშირი იყო აჯანყებები. განსაკუთრებული სისასტიკითა და ძარცვა-გლეჯით გამოირჩეოდა ხალიფას ბიძაშვილი მურვან იბნ-მუჰამედი, რომელიც 735 წელს 120 ათასიანი ლაშქრით შემოესია საქართველოს. ამ სასტიკსა და გულბოროტ დესპოტს, იმისათვის, რომ ვერაფერს შეასმენდა ადამიანი, ვერც ხვეწნით, ვერც მუდარით – „ყრუ“ შეარქვეს: „მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრო კარი დარიალისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“, – მოგვეითხრობს ქართველი მეისტორიე.

მურვანი დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა, შეიპყრო არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე და წამებით ამოხადა სული, შემუსრა ციხეები, ქალაქები, მათ შორის ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, რომელიც მიწასთან გაასწორა.

არაბ მოხელეთა დიდი შტატის (შურტა, მუჰთასიბი, აბიდი, რესი, მუშრიბი) შენახვა ადგილობრივ მოსახლეობას ეკისრებოდა. უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი და გაზრდილი სამეფო კარი გაუსაძლისს ხდიდა დამონებული მოსახლეობის ყოფას, ამიტომაც წერს იმდროინდელი მემატიანე: „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა“.

ხოლო რაც შეეხება მონღოლებს, არც მათი გადასახადი ყოფილა იოლი, როგორც მეისტორიე გადმოგვცემს, დაუბეგრიათ მეურნეობის ყველა დარგი. გლეხი იხდიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, პირუტყვის გადასახადს – ყაფჩერს, საომრად მიმავალ მეომართა მომარაგებისათვის – ყალანს, გზების გაყვანა, მოვლა-პატრონობისა და ცხენების მომარაგებისათვის – (აიამე) ბეგარას. ამასთანავე, ევალებოდა ადგილებზე ჩაყენებული მონღოლი მოლაშქრეებისა და მოხელეების ულუფით უზრუნველყოფა და სავაჭრო გადასახადი. გადასახადთა გადახდის შეუძლებლობა ქვეყანას ეკონომიკურად აუძლურებდა. არც ფეოდალები იყვნენ უკეთეს პირობებში, რადგან გლეხებისგან დაცლილი მამულების გადასახადი მათ უნდა გადაეხადათ, რის გამოც ქართველმა აზნაურებმა მასობრივად იწყეს მამულების გაყიდვა.

სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი მონღოლების მიერ ჩატარებული აღწერისა და გადასახადების შესახებ წერს: „ისინი (ე. ი. აღმწერი მოხელეები) მიიღეს რა ეს ბრძანება (აღწერის ჩატარების შესახებ), გავიდნენ მთელს ქვეყანაში ამის აღსასრულებლად. მიაღწიეს, აგრეთვე, სომეხთა, ქართველთა და ალანთა ქვეყნებში და აგრეთვე მათ ირგვლივ მდებარე მხარეებსა და ათი წლის ასაკიდან დაწყებული ყველა შეიტანეს აღრიცხვის წიგნებში, გარდა ქალებისა. ყველასგან მოითხოვდნენ უმძიმეს ხარკს, რაც აღემატებოდა ადამიანთა ძალას, იწყეს გალატაკება, ავიწროებდნენ წარმოუდგენელი წამებით, ტანჯვითა და მარწუხებით. ვინც იმალებოდა, იჭერდნენ და ჰკლავდნენ, ხოლო, ვინც ბეგარას ვერ გადაიხდიდა, მას ვალში ბავშვებს ართმევდნენ.

მთავრებიც, მხარეთა მფლობელები, მათი თანამონაწილე შეიქმნენ შევიწროებასა და ხარკის მოთხოვნაში. ეს არ იკმარეს, არამედ ყველა ხელოსანს, ქალაქსა და სოფლად, ხარკი დაადეს. ასევე მეთევზეებს – ზღვებსა და ტბებზე. მაღაროებს, მჭედლებსა და რა საჭიროა დაწერილებით თქმა, ყველა კარი შემოსავლისა დაახშეს ადამიანთათვის და მხოლოდ თვითონ სარგებლობდნენ, მარილის ყველა საბადოს შემოსავალი წაიღეს. ვაჭრებისგანაც მრავალი ქონება წაიღეს, დააგროვეს დიდძალი განძი ოქროსი, ვერცხლისა და პატიოსან თვალთა. ყველა შეავიწროვეს ვაითა და ტყვეებით აავსეს ქვეყანა, დაუტოვეს ბოროტი ოსტიკანები ქვეყნებს, რათა მოეთხოვათ ყოველწლიური ხარკი იმავე ოდენობითა და წიგნით“.

აი, ასეთი იყო, ბატონო ზურაბ, არაბთა და მონღოლთა „სამოთხე“ საქართველოში. დღეს, როცა ასე დამძიმებულია ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, გაუსაძლისი გახდა ყოფა, უნდა მოვიგონოთ წარსული ისე, როგორც იყო და არა ისე, როგორც ზოგიერთებს ეჩვენებათ და ჰგონიათ.

**ვალერიან მამუკელაშვილი.**



### პრეზიდენტის განკარგულება ძალაში დარჩა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პრეზიდენტის ადვოკატის ზვიად კორძაძის საკასაციო საჩივარი პრეზიდენტის მიერ შეწყალებული თენგიზ ასანიძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმის თამბაქოს კომბინატის ყოფილი ხელმძღვანელი თენგიზ ასანიძე მიმდინარე წლის სექტემბერში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტიისას შეიწყალა.

თამბაქოს კომბინატის ახალმა ხელმძღვანელებმა ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანეს აჭარის უზენაეს სასამართლოში და მოითხოვეს პრეზიდენტის განკარგულების გაუქმება, იმ მოტივით, რომ ასანიძემ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი მიაყენა თამბაქოს კომბინატს. სასამართლომ მათი საჩივარი დააკმაყოფილა, პრეზიდენტის განკარგულება კანონსაწინააღმდეგოდ სცნო და გადაწყვეტილება თენგიზ ასანიძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გააუქმა.

თენგიზ ასანიძე 6 წლის წინ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის გაასამართლეს და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

### არშემდგარი ტერაქტის გამოძიება დასრულდა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ არშემდგარი ტერორისტული აქტის მონაწილეებს, რომლებიც სამართალდამცავებმა მიმდინარე წლის 22 მაისს დააკავეს, გამოძიებამ საბოლოო ბრალდებები წაუყენა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა მალხაზ სალაყაიამ აცნობა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაკავებული 12 ბრალდებულის მიმართ გამოძიება პრაქტიკულად დასრულდა და საქმე მომავალი წლის იანვარში გადაეცემა სასამართლოს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ძებნაში იმყოფება კიდევ 5 პირი. ტერაქტის დამგეგმავებად საქმეში მოხსენიებულია უშიშროების ექს-შეფი იგორ გიორგაძე, ყოფილი პარლამენტარი ბორის კაკუბავა, ძმები ბექა და კახა აფციაურები და მოსკოვში მცხოვრები ოლეგ კუჭავა.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## გამარჯობათ!

# კოხტაპრუწობიდან – სახრჩობელამდე

წლეულს უკანასკნელად ვმორიგეობ და თავს უფლებას ვერ მივცემ, არ დაგემშვიდობოთ. ჩემის მხრივ აღვნიშნავ, – ერთგვარი სიამაყით, – რომ ჩვენმა გაზეთმა შეძლო ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბევრი ფაქტისა თუ მოვლენის მკითხველისთვის გაცნობა. უდავოა, – სახელმწიფოებრივი პოზიციისა და ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით.

აღვნიშნავ გულისტკივილითაც, რადგან, მიუხედავად არაერთგზისი მცდელობისა, ბოლომდე ვერ შევძელით ჩვენი მკითხველების ყველა პრობლემის მოგვარება.

რასაკვირველია, საწუხარ არს ესე, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ერთი არცთუ ისე დაბალი რანგის ჩინოვნიკის ხმამაღალ განცხადებას, ფულს კი არ ვითვლი, ვზომავო, ძნელი აღარ არის იმის მიხვედრა, რა ჭირი სჭირს ჩვენს ქვეყანას.

ხალხი ახალ წელს დალხენილი ვერ ხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები გავხდით, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას საშველი ვერ დაადგა.

შაბლონია – როდესაც ახალი წლის ღამით ჭიქას ავწევთ და საქართველოს ვადღეგრძელებთ, გავიხსენებთ, რომ ტკივილამდე გვაკლია აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომ ტკივილამდე განვიცდით მწუხარებას ოჯახებისა, სადაც ამ ახალი წლის ღამესაც ბავშვებს სცივათ, შიათ და სწყურიათ.

გავიხსენებთ, ან – არ გავიხსენებთ.

მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ არ შეგვრცხვება, ჩვენი უმოქმედობის, ქვეყნისთვის მხარში ამოუდგომლობისათვის ტანში არ გაგვცრის.

მათ ხომ, უპირველესად, ჩვენი სიტყვა აკლიათ, მართალი სიტყვა, ან უკეთ, – მართალი კაცის სიტყვა.

სიტყვა, რომელიც საქმემდე მიგვიყვანს, და გადაგვარჩენს, რადგან ვაცილებთ სახრჩობელების საუკუნეს, სისასტიკითა და ვანდალიზმით დაღდასმულ საუკუნეს და ვუახლოვდებით ახალ ათასწლეულს, სადაც აღარ იქნება სახრჩობელები.

მაგრამ, აღარ იქნება?

ხალხის რისხვამ შესაძლოა ჩვენი ევროპული კოხტაპრუწობა სახრჩობელაზე კონწიალად გადაგვიქციოს.

და აღარ გვიშველის განზე ცქერა და მაგიდაზე სამჯერ დაკაკუნება.

რადგან ხმის გამცემი აღარ გვეყოლება.

მომავალ შეხვედრამდე.

**მორიგე რედაქტორი.**

## ახალი სახელები

# მახვილი ირონია

ბაია სიხარულიძე ჩვენს მხატვრობაში მხოლოდ ახლა შემოდის და იმკვიდრებს თავს. თვალნათლივ ჩანს, რომ მისი მხატვრულ-სტილისტური აზროვნება გარკვეულწილად ეყრდნობა ქართული გრაფიკული სკოლის გამოცდილებას, მიღწევებს და, ამასთან ერთად, მის წიაღშივე შეაქვს სრულიად უცხო ექსპრესია და სახოვნება. ბაია მშვენივრად აზროვნებს ალეგორიებით და სიმბოლოებით. იგი სრულიად თავისუფლად ფლობს კომპონირების მრავალ ხერხს, შეიძლება ითქვას ისიც, რომ მის ფანტაზიებს და წარმოსახვებს კომპონირების სფეროში საზღვარი არა აქვს.

მისი შტრიხი თავისუფალია დამტკბარი ერუზირებისაგან. იგი სრულად ემორჩილება მხატვრის შინაგანი ექსპრესიის დიქტატს, დაწმენდილია ზედმეტობებისაგან და ლაკონურად, ზუსტად გამოხატავს გამომსახველობითი დრამატურგიის შინაარსს. ეს უკვე ახალი გრაფიკულობაა, რომელიც თავისი არსით, სოციალურადაც კი არ არის ორიენტირებული, და მძაფრად ატარებს გროტესკის, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, მახვილი ირონიის ელემენტებს.

ბაია სიხარულიძის გრაფიკით ახალი, სხვა, უფრო მძაფრი და ყოვლგვარი შეულამაზებელი შემოქმედება შემოდის ჩვენს ხელოვნებაში. მას შორეულად „ახალი საგნობრიობის“ ელფერიც დაჰკრავს, რაც მისასალმებელია.

ახალგაზრდა მხატვარს არ უნდა ეშინოდეს რთული, ალეგორიული თემების, რადგანაც მისი შტრიხ-ხაზის მხატვრული შესაძლებლობები, მისი ტრანსფორმირების უნარი შეუზღუდავია. ამიტომაც არის, რომ ახალი გრაფიკული სერია „სახრჩობელობანა“, რომელიც გამოირჩევა დრამატული სიმძაფრით, სარკაზმით და ექსპრესიით, ნამდვილად თავისი აქტუალობიდან გამო-



მდინარე იმსახურებს ჩვენს ყურადღებას და იმის იმედსაც იძლევა, რომ ბაია სიხარულიძე მომავალშიც ბევრ მშვენიერ, აქტუალურ და გამორჩეულ ქმნილებას შესძენს ჩვენს კულტურას.

**გია ბუღაძე.**



საქართველოს რესპუბლიკა

№ 353. ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1999 წელი.

**გაუხუნარი სახეები**

# „წინაპართაგან წასულა ყველა"...

„არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე".

**სტრაბონი.**

„ქართველები საუცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და შემართებული ერია".

**ალექსანდრე დიუმა.**

***– ქალბატონო ბაბო, ძალიან გამოიცვალნენ ქართველები?***

– ძალიან შეიცვალა ცხოვრების წესი, ურთიერთობები...

***– „ცხოვრების წესში" რას გულისხმობთ?***

– ცხოვრების წესი ურთიერთობის სტილით განისაზღვრება. ეპოქა მხოლოდ გარეგნულ სტილს გვთავაზობს. შინაგანად ყველა დროის ადამიანი ერთნაირია: „დაუცველი, ზედაპირული პრობლემით აფორიაქებული, ჭეშმარიტებაზე იშვიათად დაფიქრებული... ცხოვრების სირთულეებს მიღმა ყოველთვის არსებობდა ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები... დიახ, ნამდვილი ახლობლობა და არა ფამილარობა, თანადგომა, თანამოაზრეობა და არა მხოლოდ კომპანიონობა...

ვწუხვარ, რომ დღეს ვეღარ ნახავთ იმ სტილს, რაც ასერიგად ამშვენებდა მამია გურიელს, ტელმაქ გურიელს, ჯანსუღ და თათარხან დადეშქელიანებს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, ანეტა ანდრონიკაშვილს, მერი შერვაშიძეს, ნიკო ბაგრატიონ-მუხრანსკის, დათა მიქელაძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, გოგიტა ფალავას, დიმიტრი ამილახვარს...

თუკი ადამიანთა სამოქმედო ასპარეზი დროა, რა ურთიერთობა შეიძლება დავამყაროთ წარსულთან? თუკი ისტორია მუდმივი და ფატალური განმეორებაა, მისი გაკვეთილები ალბათ უფრო მორალურია, ვიდრე მეცნიერული.

გვსურს თუ არ გვსურს, წარსულიდან აუცილებელს და მნიშვნელოვანს ვსწავლობთ, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა გველოდებოდეს ხვალ...

იმ ნოსტალგირებულ გარემოს, რასაც ჩვენი წინაპრების ღირსებით სავსე, მშვენიერი სახეები და სახელები საზღვრავს, ცოტა ხნის წინათ საუკუნეს მიტანებული, წარსულში მრავალტანჯული, უამრავი ძალადობის თვითმხილველი, ქართული ისტორიული რარიტეტების ფანატიკოსი და გადამრჩენელი, სანიმუშოდ სადა და მართლმორწმუნე ქრისტიანი, დიდებული არისტოკრატი, ქალბატონი ბაბო დადიანი შეემატა...

სულ რამდენიმე წელი გვაშორებს იმ დროს, როცა სოხუმში, ქალბატონ ბაბოს დიდი წინაპრის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, გიორგი შარვაშიძეს მემორიალური სახლი იდგა, ლათინური წარწერით „VILLA CHERI".

1988 წელს, როდესაც ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ბაბო დადიანმა თავისი უნიკალური ფოტოკოლექციით ექსპოზიცია მოაწყო, დაიბადა იდეა, რომ სოხუმურ ვილაში საზოგადო მოღვაწის, დრამატურგისა და პუბლიცისტის გიორგი შარვაშიძის სახლ-მუზეუმი გახსნილიყო. ლიტერატურის მუზეუმის გამოფენაზე „გიორგი შარვაშიძე და მისი წრე" ითქვა, რომ ყურადღება სჭირდებოდა გ. შარვაშიძის საფლავს მოქვის ტაძარში და ქალბატონ ბაბოს არქივს, რომელიც ასევე სამუზეუმო მნიშვნელობის გახლდათ.

**„ამ ფოტოებზე წარმოდგენილი პირნი იყვნენ ჩვენი ეროვნული კულტურის მშენებლები, ზოგიც თაყვანისმცემლები და მოყვარულნი ამ კულტურისა... ისინი ფოტოებიდან გვიმზერენ, როგორც ქტიტორები კედლის მხატვრობის ფრესკებიდან...**

**აუცილებელია ამ მასალის წიგნად გამოცემა."**

**ლადო ზუღიაშვილი.**

**შთაბეჭდილებათა წიგნიდან: „უზარმაზარი პატივი დამდო ქალბატონმა ბაბომ, თავად წამძღოლოდა გამოფენის დასათვალიერებლად... გამოფენამ მძაფრი, სულის შემძვრელი შთაბეჭდილება დატოვა. არა, არ უნდა გადაშენდეს მოდგმა, სურათებიდან რომ გადმოგვყურებს"...**

**რეზო ინანიშვილი.**

შეკითხვა, რომელიც ქალბატონ ბაბო დადიანს 12 წლის წინათ დავუსვი:

***– ქალბატონო ბაბო, გამოფენა დასრულდა. ახლა რა ვქნათ?***

– არაფერი. სამწუხაროდ, ყველაფერი სრულდება. ჩამომახსნევინე სურათები. ისევ ჩემოდანში ჩავაწყობ და ჩემი ძველი ტახტის ქვეშ შევინახავ...

...ქართული ემიგრაცია კოკი დადიანს – ბაბო დადიანის მამას განსაკუთრებული პატივით გამოეთხოვა... „თავსასთუმალი გაგისწორეთ, ბატონო კოკი, შენი ლამაზი, გრძელი, ჯიშიერი ხელები გულზე დაგიკრიფეთ და შენი საყვარელი შავი ჩოხა, რომლის განათხოვრება არ გიყვარდა – ამაში უნდა დავიმარხოთ, ჩაგაცვით... შენს კუბოს ფარავს ეროვნული დროშა... დაგტირის მთელი ემიგრაცია გაერთიანებული... ყველა მოვიდა წარსულის და ისტორიის პატივსაცემად...

– მამა დაკრძალულია ლევილში ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით. ქაქუცა ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი იყო. თბილისში ჩამოსვლისას ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდა... იყო საქართველოზე ბაასი, აღტაცებული მსჯელობა... 1918, 1920 წლები... მუდმივი სადღეგრძელო ფეხზე ადგომით: „გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოს!"... როდესაც ჩემი მეუღლე, ალექსანდრე მასხარაშვილი დააპატიმრეს, ერთ-ერთ ბრალდებად ქაქუცასთან ურთიერთობა წაუყენეს. 24 წელს დააპატიმრეს ჩემი მეუღლე, დახვრიტეს ბაბუა და ბიძები...

ბაბო დადიანის პატარა ბინა თბილისში, შალვა დადიანის ქუჩაზე, ქართული არისტოკრატიის მუზეუმ-სალონად გვესახება, სადაც ექსპონირებულ უნიკალურ მასალასთან ერთად მათზე დეტალურ კომენტარებს მოვისმენთ... ამ არქივის მიხედვით შეიძლება დაიბეჭდოს მშვენიერი ბუკლეტები, წიგნი, ალბომი... გაკეთდეს მოძრავი, თემატური გამოფენები: „ქართული ალბომი", „მიყვარს ყველაფერი ძველი", „1924 წლის აჯანყების მონაწილენი", „ქართული ეროვნული მოძრაობა ემიგრაციაში", „მშვენიერი ქართველი ქალები", „ქართული სახეები" და ა. შ.



„ბაბო დადიანის სახლი" კოლორიტული ადგილი იქნება კამერული შეხვედრებისთვის, უცხოელი სტუმრებისთვის...

ამ სახლიდან შეიძლება გადაიცეს ტელეგადაცემათა ციკლი: „წინაპართაგან წასულა ყველა"...

მართლაც, ცოტა არ იყოს, უხერხულია, რომ დღემდე ძველი ტახტის ქვეშ, ჩემოდნებსა და ყუთებში აწყვია წარსულის ესოდენ ფასეული რელიკვიები...

ამ ათეული წლის წინათ, საფრანგეთში, საქართველოს საელჩოში გამართულ ბაბო დადიანის კოლექციის გამოფენაზე, ქართული გენის სილამაზით აღფრთოვანებულმა ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა ფრანგი მოგზაურის და მეცნიერის ბატონ დე ბაის სიტყვები მოიგონა:

**„ყველაფერი ხელს უწყობს ამ პატარა ერის ინტელექტუალობას და ინდივიდუალობას, რომლის პატრიარქალური ზნე-ჩვეულებით გაჟღენთილი ხასიათი სავსეა მიმზიდველობით... საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული, კეთილშობილი ხასიათის ხელშეუხებლობა და თავისი მარადიული სილამაზე"...**

**ნინო ხოფერია.**



**სურათებზე: ბაბო დადიანი და ვახუშტი კოტეტიშვილი – კადრი ფილმიდან „კავკასიური ნადიმი", რეჟისორი შტეფან ტოლცი; ფატი ერისთავის ასული ბერსისა (ფოტო ბ. დადიანის კოლექციიდან).**

---

**გვეხმაურებიან**

## არც და ვარ და არც არაფერი მაკავშირებს „ელიზთან"

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო სტატია „ქველმოქმედთა" გასაგონად.

სტატიაში სრულიად უსაფუძვლოდ იყო განქიქებული საერთაშორისო ასოციაცია „ქალი და ბიზნესი", რომლის პრეზიდენტიც მე გახლავართ და რომლის წარმატებულ საქმიანობაზეც სწორედ თქვენს გაზეთში იყო ვრცლად მოთხრობილი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. „ომეგას" ამგვარ საქციელზე, იქნებ, ასე არც ავღელებულიყავი, პირადად რომ არ შემხებოდნენ და ფირმა „ელიზის" პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის დად არ გამოეცხადებინეთ. დამიჯერეთ, დღემდე თავადაც არ ვიცოდი, რომ მე და თამაზ ელიზბარაშვილი და-ძმა ვიყავით (?!)

ყოველივე ამის მიზეზი კი გახდა „ომეგასადმი" ჩვენგან შეთავაზებული წინადადება, მონაწილეობა მიგვეღოთ საახალწლო აქციაში და ამით, როგორც კერძო სექტორს, თანადგომა გამოგვეხატა და დახმარებოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს. სამწუხაროდ, ჩვენი წინადადება არ მიიღეს.

აქვე მინდა გაუწყოთ, რომ ჩვენს შეთავაზებას ათობით საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

„ომეგას" კი ვთხოვდით, სიტყვას ნუ გადაუხვევს და თუ აღნიშნულ ფირმებს შორის მიმდინარე სასამართლო პროცესი საახალწლოდ მართლაც მის სასარგებლოდ დამთავრდება, დანაპირები თანხა აუცილებლად გადმოურიცხოს ჩვენს ასოციაციას.

**ნინო ელიზბარაშვილი,**
**ასოციაცია „ქალი და ბიზნესის" პრეზიდენტი.**

---

**„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების"**

## მარო გადელიას ბოდბისხეველი შვილობილი



სათნო, კეთილშობილი, 77 წლის დამსახურებული მასწავლებელი მარო გადელია კარგა ხანია, თავისი მეუღლის, კირილე მიქაძის ფუძეზე, აბაშის რაიონის სოფელ მაიდანში ცხოვრობს. ხანდაზმულობის მიუხედავად, ძველებურად პეწიანი და მომხიბვლელია, განათლებული, სადა, სხვათა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ასობით ახალგაზრდის დამკვიდრებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ერთადერთი შვილი და სიძე, შვილიშვილები და შვილთაშვილი თბილისში ცხოვრობენ. დღევანდელი ეკონომიკური შეჭირვების მიუხედავად, ისინი ყურადღებას არ აკლებენ ღირსეულ დედას და ბებიას... წლების განმავლობაში, სოფლის აღიარებული ხელმძღვანელი და უსპეტაკესი პიროვნება, მაროს მეუღლე კირილე მიქაძე ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. ოთარაანთ ქვრივივით შეუდრეკელი მარო მასწავლებელი მესამური ერთგულებით უვლის კოპწია სახლკარს და ძველი ოჯახის კერას არ აციებს... თბილისში ცხოვრობს, აგრეთვე, მისი პირველი შვილობილი, ბოდბისხეველი ბორის ბოქოლიშვილი, რომელმაც ახლახან, მარო მასწავლებლის ძმისშვილის დახმარებით, ხელმეორედ „აღმოაჩინა" თავისი სათაყვანებელი პიროვნება და... წერილი მისწერა. ამ ბარათს კომენტარი არ სჭირდება, მასში ყველაფერია ნათქვამი:

„ჩემო სათაყვანებელო მარო მასწავლებელო! გაგიკვირდებათ, ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული და მაინც არ მავიწყდებით. თუმცა, საკვირველი არაფერია, სიკეთე ხომ მარადიულია. იმ სიკეთის მადლი კი, რომელიც თქვენ 1943 წლის სამ სექტემბერს აანთეთ ჩემს სულში, თან დამდევს და მას სამარეში არ ჩავიტან, ჩემს შთამომავლობას დავუტოვებ. მინდა გაგახსენოთ ბოდბისხევის საშუალო სკოლა, პირველი კლასი, თქვენი შემობრძანება პირველ გაკვეთილზე. თქვენზე ლამაზი მაშინ არავინ მეგონა და რა ვიცოდი, რომ ლამაზ სხეულში ათჯერ უფრო ლამაზი სული გედგათ. ეს მერე გავაცნობიერე – შვიდი წლის ვიყავი და სკოლაში სიარული (მაშინ რვაწლიანებს იღებდნენ) არ მეკუთვნოდა. სამ სექტემბერს მამაჩემის გარდაცვალების ცნობა მიიღეთ ფრონტიდან. არ დამავიწყდება თქვენი ცრემლიანი თვალები, როგორ დედასავით ჩამიხუტეთ გულში, დედობისთვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, როგორ შევევედრეთ სკოლის დირექტორს, ბატონ კირილე კუდავას, რომ გამონაკლისის წესით ნება დაერთო დავრჩენილიყავი კლასში და ამით უფრო შემმსუბუქებოდა მამის გარდაცვალებით გამოწვეული ნაღველი. მერე იყო სითბოთი და თქვენი ჩემდამი გულისხმიერებით აღსავსე ერთი წელიწადი... ყველაზე ადრე მოვდიოდი სკოლაში, რომ თქვენ სხვებზე ადრე დამენახეთ. ვგრძნობდი, რომ გამორჩეულად მეფერებოდით. ამას მოწმობს ის გახუნებული სურათიც, რომელიც პირველი კლასის დამთავრების ჟამს გადავიღეთ და რომელზედაც თქვენი თბილი ხელი დღესაც ათბობს ჩემს მხრებს.

1944 წლის პირველი სექტემბერი ჩემთვის გლოვის დღე იყო, რადგანაც თქვენ აღარ შემობრძანდით მეორე კლასში... მუდამ მახსოვდა თქვენი სიტყვები: „იმ შემთხვევაში დაგტოვებთ, თუ ფრიადებზე ისწავლითო". შევისრულეთ წადილი. სკოლა მედალზე დავამთავრე, პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარჩინებით, ასპირანტურა მოსკოვში, ამჟამად პროფესორი და ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი ვარ. მყავს მეუღლე, სამი შვილი და, ჯერჯერობით, ხუთი შვილიშვილი... ვფიქრობ, კაცურად ვიცხოვრე და ამაში განუზომელია თქვენი და ჩემი მომდევნო მასწავლებლების ღვაწლი. თქვენ რომ არა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი მომავალი... ძალიან დიდი ხანია გეძებთ. ამ ოციოდე წლის წინათ „საქართველოს ქალში" თქვენზე წერილი დავწერე... დიდი ილიას თქმისა არ იყოს, სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა და მომცა იმის საშუალება, რომ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ... საერთოდ, წერა არ მიძნელდება, მაგრამ ახლა ისე ვღელავ, სათქმელი მთლად დალაგებული არ გამომდის... თქვენ ჩემი პირველი და უსაყვარლესი მასწავლებელი ბრძანდებით და მადლობა იმით მინდა გადაგიხადოთ, რომ სიკეთის მთესველი კაცის ცხოვრებით ვცხოვრობ. გაეკადნიერდები და გეტყვით, რომ პირველი შვილის სიყვარულით მიყვარხართ. მუხლს ვიდრეკ თქვენს წინაშე. მარად თქვენი თაყვანისმცემელი **ბორის ბოქოლიშვილი. 1998 წლის აპრილი".**

ბატონ ბორისს ამ დღეებში ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტელეფონით შევეხმიანე. ჩვენი გაზეთის რუბრიკას – „რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების" – თქვენი წერილი და საგანგებოდ ამ წერილისთვის აბაშიდან ჩამოტანილი თქვენთვის ძვირფასი პერსონების ფოტოები მოუხდება-მეთქი... გულით გაიხარა, ოღონდაც, ჩემი პირველი მასწავლებელი თუ ჩამობრძანდეს თბილისში, გემუდარებით, შემატყობინეთო... მარიამ გადელია საახალწლოდ ყოველთვის ჩამოდის შვილებთან და შვილიშვილებთან. თუ ღმერთმა ინება და ჯანმა არ უმტყუნა (ნოემბრის შუა რიცხვებში მშობლიურ სოფელში ვინახულე და, ცოტა ჯანმრთელობას უჩიოდა), აუცილებლად ჩამოვა... დარწმუნებული ვარ, ერთი კარგი ნარკვევის თემა იქნება ნახევარი საუკუნის უნახავი მასწავლებლისა და ღირსეული შეგირდის შეხვედრა...



**სპარტაკ ქოზულია.**

**სურათებზე: მარო გადელია (1958 წ.); პედაგოგები მარო გადელია (მარცხნიდან), კირილე კუდავა და მარო ზიხლაძე (1947 წ.).**

---

**ღვაწლი**

## მისი წვლილია მედიცინის ურთულეს სარბიელზე

**ვახტანგ ფიფიას დაბადების 70 წელი**

წლების განმავლობაში ერთად ვიღვწოდით, ზოგთან მეცნიერებაში ერთდროულად აიდგა ფეხი, ზოგის დიდად დამფასებელი მოწაფე გახლდათ, ზოგის – მასწავლებელიც, ყველა ჩვენგანისათვის კი – მისაბაძი მეგობარი. აირჩიეს რა ასისტენტად, დიდი გზა გაიარა, იყო დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ვახტანგ ფიფია მხოლოდ ერთხელ დანიშნეს და ისიც ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შემსწავლელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, – თვეების განმავლობაში ეძიებდა ჭეშმარიტებას.

ბატონ ვახტანგს ეამაყებოდა დიდი ვახტანგ ფიფიას ახლობლობა, თუმცა, არ ბაძავდა, მძიმე ტვირთად არ აწვებოდა მისი ავტორიტეტი. ვენატე ფიფია შემოქმედების ურთულეს გზას მიჰყვებოდა, მუდამ ახალი ბილიკების ძიებაში იყო. იყო და იპოვა კიდეც ქართულ ქირურგიაში ურთულესი განშტოებები გულის და ფილტვის ქირურგიის სახით.

მედიცინის მწვერვალების დაპყრობაში ყოველთვის მოწინავე ჯგუფის ლიდერთა შორის იყო. გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით არა მხოლოდ არჩეულ სპეციალობაში, არამედ ხელოვნებაში და განსაკუთრებით – ლიტერატურაში. მისი მტკიცე, უღალატო ხასიათის დასტურად ისიც კმარა, რომ თავის საქმოში არც ერთი დამაკავშირებელი ძაფი არ გაუწყვეტია, სულ იმას ცდილობდა, ერთგულობა უფრო მტკიცე და შეუბღალავი ყოფილიყო. თუმცა თავად მისი გული თერთმეტი დღე ებრძოდა სიკვდილს და დამარცხდა...

ვახტანგ ფიფია სამამულო მეცნიერული ქირურგიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, აკადემიკოს, ბატონ ვენატე ფიფიას და ქალბატონ ელენტინა ფიფია-ჯუღელის ოჯახში დაიბადა. 1948 წელს სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე განაგრძო. მესამე კურსიდან სასწავლებლად მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტის ამავე ფაკულტეტზე გადავიდა, რომელიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა. მოსკოვშივე ქირურგიის კათედრაზე გაიარა ორდინატურა. 1957 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1958 წლიდან თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიის კათედრაზე (კათედრის გამგე აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა). 1970 წლიდან აირჩიეს ამავე ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიისა და პულმონოლოგიის კათედრის გამგედ. სადოქტორო დისერტაცია კი სრულიად ახალგაზრდამ მოსკოვში ა. ა. ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტში დაიცვა. 1968 წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1982 წელს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1980 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გულის ელექტროსტიმულაციის საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიისათვის მას ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა. სიცოცხლის ბოლო პერიოდში კი იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორად.

ვახტანგ ფიფია 170-ზე მეტი შრომის, მათ შორის 8 მონოგრაფიის ავტორი გახლდათ, რომელთა უმრავლესობა იმ პერიოდის საკავშირო ცენტრალურ გამომცემლობათა მიერ არის დასტამბული (რამდენიმე შრომა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთაც). იგი საქართველოში გულმკერდის ქირურგიის ერთ-ერთი ახალი მიმართულების შემქმნელია.

მისი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა სწორედ გულმკერდის ქირურგიის აღიარებული ლიდერის, აკადემიკოს ა. ბაკულევის ხელმძღვანელობით დაიწყო. ბატონი ვახტანგის სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად გულის რიტმის დარღვევათა შესწავლისა და ქირურგიის მკურნალობის ფუნდამენტურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მან ექსპერიმენტულად დაამუშავა აღნიშნული საკითხები და საქართველოში ფართოდ დანერგა ელექტროკარდიოსტიმულაცია გულის რიტმის სხვადასხვა სახის დარღვევათა დროს (ატრიოვენტრიკული ბლოკადა, პაროქსიზმული ტაქიკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი) და დანერგა ქირურგიული მკურნალობის ეფექტიანი მეთოდები.

მის მიერ შექმნილ გულის რიტმის რთულ დარღვევათა ქირურგიის მკურნალობის ცენტრში ჩატარდა და კარგი შედეგით დამთავრდა ელექტროკარდიოსტიმულატორის 1500-ზე მეტი ჩანერგვა. გულის რიტმის დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის პრობლემებთან დაკავშირებით, გამოცდილების გასაზიარებლად ბატონი ვახტანგი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაწილეობდა, აგრეთვე, ამ პროფილით ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ერთობლივ სიმპოზიუმებში.

ვახტანგ ფიფიამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაადგინა გულის განივი ბლოკადის დროს ფიქსირებული რიტმით ელექტროკარდიოსტიმულაციის არასრულყოფილება და დაასაბუთა კიდეც ბიომართვით სტიმულაციის უპირატესობა. ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფია მეცნიერების დიდმნიშვნელოვან შენაძენად ითვლება.

მისი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას გულის მანკების (ფილტვის არტერიის სტენოზი, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი) ექსპერიმენტული მოდელების შექმნა წარმოადგენს. ეს გამოკვლევა მან მეცნიერულად განაზოგადა თავის მონოგრაფიაში „ფილტვის არტერიის იზოლირებული სტენოზი და მისი ქირურგიული მკურნალობა", რომელიც მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ მანკის შესწავლის პირველი სრულფასოვანი მეცნიერული ცდა.

ვახტანგ ფიფიამ გულის სხვადასხვა მანკის დროს საქართველოში პირველმა ექსპერიმენტში და შემდეგ კლინიკაში, წარმატებით ჩაატარა ოპერაციები ხელოვნური სისხლის მიმოქცევის მეთოდის გამოყენებით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის გულის ნაკლოვანებების სხვადასხვა ხარისხის დროს დამხმარე ხელოვნური სისხლის მიმოქცევის მეთოდის დამუშავების სფეროშიც. მეცნიერის მიერ ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად იყო შესწავლილი დამხმარე სისხლის მიმოქცევის ზეგავლენა მიოკარდიუმის სტრუქტურაზე.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს მის შრომას, რომელიც პერიკარდიტების ქირურგიული მკურნალობის ახალ ასპექტებს ასახავს, სადაც დამაჯერებლად დაასაბუთა ორიგინალური ოპერაციული მიდგომა გულის პერანგის ქრონიკული ანთების დროს, რასაც კარგი პოსტოპერაციული შედეგები ადასტურებენ.

მისი ხელმძღვანელობით ექსპერიმენტულად იყო დამუშავებული ტრაქეობრონქული ხისა და ფილტვების რეკონსტრუქციული ოპერაციები, რის შედეგადაც ტრაქეისა და ბრონქების პლასტიკის მეცნიერულად დასაბუთებული ორიგინალური მეთოდიკა იქნა მოწოდებული. შუასაყარის ორგანოთა, პათოლოგიის აქტუალური საკითხების მეცნიერულ შესწავლას ეხება მისი მონოგრაფია „ანევ მომედიასტინოგრაფია".

დიდია ბატონი ვახტანგის დამსახურება ჰეპატოდუოდენური ზონის პათოლოგიის დიაგნოსტიკის პრობლემის გადაწყვეტაში. მისი მეცნიერული კვლევის შედეგად (ბატონ ზურაბ ცხაკაიასა და გიორგი ფიფიასთან ერთად) იქნა დადგენილი ტრანსკუტანული ჰეპატოქოლანგიოგრაფიის მეთოდის გამოყენების ჩვენებები და ეფექტიანობა.

ვახტანგ ფიფიას ხელმძღვანელობითა და მეცნიერული კონსულტაციებით დაცულია 12 დისერტაცია (სამი სადოქტორო და ცხრა საკანდიდატო). მის მიერ აღზრდილი მეცნიერ-მუშაკები და პრაქტიკოსი ექიმები დღეს ყოფილ სსრ კავშირისა და განსაკუთრებით საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკულ დაწესებულებებში განყოფილებებსა და ლაბორატორიებს განაგებენ.

იგი ევროპის კარდიოქირურგთა ასოციაციის წევრი გახლდათ. ამასთანავე, კარდიოლოგთა რესპუბლიკური და თბილისის



აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგიული სამეცნიერო საზოგადოებების თავმჯდომარეთა მოადგილეც იყო.

სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა ყველას, ვინც 1968 წლის 21 თებერვალს ქირურგთა, თერაპევტთა და პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოებების გაერთიანებულ სხდომას დაესწრო. დემონსტრირებული იყვნენ ავადმყოფები, რომელთაც პირველად საქართველოში სისხლის მიმოქცევის აპარატის გამოყენებით ჩაუტარდათ გულის ურთულესი მანკების კორექცია.

ფალოს ტრიადა ძალზე რთულ მანკს წარმოადგენს. იგი გულის მანკების უმძიმეს კატეგორიას მიეკუთვნება და სიკვდილიანობის ძალზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ამ მანკის ოპერაცია პირველად ჩვენს რესპუბლიკაში აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის კლინიკაში 1967 წელს პროფესორმა ვახტანგ ფიფიამ გააკეთა. ოპერატორმა გამოიყენა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი. სისხლის ხელოვნური მიმოქცევა 45 წუთს გრძელდებოდა, ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა მანკის სრული კორექცია. გულის მარტივი ბლოკადები (წინაგულების და პარკუჭების ასინქრონია), 10-15 წლის წინათ განუკურნებელ ავადმყოფობად ითვლებოდა. მედიკამენტური მკურნალობა ეფექტს არ იძლეოდა და ეს ავადმყოფები, როგორც წესი, მორაგან-ედემ-სტოქსის სინდრომის ერთ-ერთი შეტევის დროს იღუპებოდნენ. ამ ავადმყოფებზე ოპერაცია 1967 წელს პირველად საქართველოში კარგი შედეგით პროფესორმა ვახტანგ ფიფიამ გააკეთა.

მიასთენია ერთ-ერთი უმძიმესი დაავადება გახლავთ, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ სუნთქვის კუნთების დამბლით და სიკვდილით თავდებოდა. მკურნალობის არსებული მეთოდები მხოლოდ მცირე ხნით უხანგრძლივებდა ავადმყოფს სიცოცხლეს. ამჟამად მიჩნეულია მკურნალობის ძალზე ეფექტიანი საშუალება – თიმექტომია, რომელიც პაციენტის სრული გაჯანსაღებით მთავრდება. პირველი ოპერაციები კარგი შედეგით ამავე კლინიკაში 1967-1968 წლებში პროფესორმა ვახტანგ ფიფიამ ჩაატარა. დღეს კლინიკა და საპრობლემო ლაბორატორია, რომელსაც წლების განმავლობაში ბატონი ვახტანგ ფიფია უძღვებოდა, განაგრძობს ურთულესი ქირურგიული პრობლემების გადასაწყვეტად მუშაობას და ნათელყოფს აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას და პროფესორ ვახტანგ ფიფიას უდიდეს წვლილს მედიცინის ამ ურთულეს სარბიელზე.

**ზაალ კახიანი,**
**საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.**



# დილიზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №32 | 29 დეკემბერი, 1999 წელი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საახალწლოდ



მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარი, საქართველოვ!

ჯავარ ლომაძის ფოტო.

### ოცდამეერთეს

ვინც პლანეტას ხელისგულზე
სიყვარულით უმზერს უკვე —
საუკუნე სრულდება და
გაუმარჯოს საუკუნეს!

კავკასს მოდგა ბუმბერაზი
და ღრუბლები გადარეკა,
„იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

ბარდნის. თოვლი უსპეტაკეს
მხრებზე ნაბდად დაჰფენია,
ევებება საქართველო
ქრისტეშობას გამთენია.

მწვანე იმედს გაუფოთლავს,
ციურ ეტლთა ცქერას რა სჯობს...
ვარსკვლავების აღლუმია —
ათასწლეულს გაუმარჯოს!

ლია ჭილლაძე.
1999 წლის დეკემბერი.

## ღვინო ქართული

**ზესტაფონის რაიონი ღვინის მრეწველობის უდიდეს ცენტრად ითვლება დასავლეთ საქართველოში. ის ერთ-ერთი პირველია მევენახეობის განვითარების მხრივ და განთქმულია ორდინარული, სამარკო, შემაგრებული და შამპანური ღვინოების წარმოების დიდი ტრადიციებით.**

### სვირიდან — პარიზსა და ჩიკაგოში

ჯერ კიდევ 1906 წელს ქალაქ ანტვერპენში, ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილ, მეორე სვირის მკვიდრის დაეით მესხიშვილის მიერ დაყენებულ ღვინოს ვერცხლის დიდი მედალი ხვდა წილად, ბელგიის მეფის ლეოპოლდ მეორის გამოსახულებით.

1910 წელს ოდესაში გაგზავნილმა ზესტაფონურმა ღვინომ უცხოელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ ღვინის ექსპონატი გაიგზავნა იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა.

არაერთი ჯილდო აქვს მიღებული ზესტაფონურ ღვინოებს ახლო წარსულშიც. ტრადიცია ახლაც გრძელდება. მიუხედავად მევენახეობის დარგისადმი ყურადღების შესუსტებისა, აქ მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩაერთვნენ საბაზრო ეკონომიკაში და განსაკუთრებული რუდუნებით მოეკიდნენ მეღვინეობის შემდგომი აღმაღლობის საქმეს. მათ შორის უნდა აღინიშნოს სოფელ მეორე სვირის და ქვედა საზანოს მეღვინეობის ქა-

იხ. მე-6 გვ.

## იმედი

### ცარიელი ტიკი ფეხზე ვერ დადგება

საქართველოში თამბაქოს, ტრადიციულად, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები აწარმოებდნენ. მაშინ ქვეყანაში 13-14 ათასი ტონა თამბაქო მზადდებოდა – შინაც გვყოფნიდა და გარეთაც საკმაო რაოდენობით გაგვქონდა. ქვეყანაში წარმოებული თამბაქოს რაოდენობიდან 8-9 ათას ტონას ლაგოდეხელები აწარმოებდნენ.

ალბათ, გახსოვთ, ქართულ თუთუნს ბაზარზე მეტოქე არ ჰყავდა და მყიდველიც საჭიროზე მეტი ჰყავდა.

ამ დარგის წყალობა იყო, რომ რაიონში ხელფასები და პენსიები დროულად გაიცემოდა. მშრომელ კაცს წარმოების საშუალებების შეძენა არ უჭირდა, შინ სახარჯო ფული მუდამ ჰქონდა და ნაწილს იმედის ქისაშიც ინახავდა...

კარგს ჭამდა და კარგს სვამდა. არც გართობა აკლდა და არც ჩაცმა-დახურვა. კარზე მომდგარი სტუმარი უხაროდა, რადგან გასასტუმრებელზე არ ღონდებოდა. თვითონაც სხვისას იმ იმედით მიდიოდა, რომ მასპინძელს პურობა არ გაუჭირდებოდა...

სამწუხაროდ, ეს ღვთით ნაკარნახევი ზნე-ჩვეულება, რაც მამა-პაპათაგან მიგვიღია, ნელ-ნელა გვავიწყდება და იკარგება.

ნათქვამს წარსულის მონატრებაში ნუ ჩამითვლით, სიტყვამ მოიტანა და ვთქვი. თითქმის იგივე გავიმეორე, რაც ამას წინათ ლაგოდეხელებთან საუბრის დროს გამოიკვეთა.

მათ იმაზედაც იბუზღუნეს, პატრონი რომ გვყოლოდა, რაიონის ბიუჯეტი, დღეს რომ არის ასეთი მწირი არ იქნებოდა და ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყუაზე არ დაგვიდოდაო.

ლაგოდეხელები დღევანდელ სიღარიბესა და სავალალო მდგომარეობას სხვა მიზეზებითაც ხსნიდნენ, მაგრამ ვფიქრობ, მათი დუხჭირი ცხოვრება, ძირითადად, მაინც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სიდამბლავით არის გამოწვეული, ეგ არის და ეგ.

ჭკუას არავის ვასწავლი როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ავაშენოთ და გამოვკვებოთ ქვეყანა, ეს ჩემზე უკეთესად სხვებს მოეხსენებათ და უთქვამთ კიდეც, რომ თუ რაიონებისა და ქვეყნის წამყვან დარგებს არ ავაღორძინებთ, სოფელი – ქვეყნის ბურჯი და დასაყრდენი მუდამ ასე მშიერი იქნება და, რაც არ უნდა ვეცადოთ ცარიელ ტიკს, მხოლოდ დაპირებებით, ფეხზე ვერ დავაყენებთ.

დიახაც, რომ მეთამბაქოეობა ლაგოდეხელებისათვის ტრადიციული და სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. მასზეა დამოკიდებული აქაურების კეთილდღეობა და მომავალი.

მოდით, ვნახოთ, რა უმლის ხელს დარგის აღორძინებას. ამის თაობაზე ინტერვიუ ვთხოვეთ ლაგოდეხის მეთამბაქოეობის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარეს ჯემალ ხაჩიძეს.

ისე, თუ სადმე სამართალია, რაკი თამბაქოს მავნებლობა საყოველთაოდ ცნობილია, დარგის აღორძინებაზე სიტყვასაც არ უნდა ვამბობდეთ, მაგრამ რაკი ზოგიერთებს ეს საწამლავი შარბათად ეჩვენებათ, ალბათ, დიდ ცოდვაში არ ჩავდგებით და ღმერთიც გვაპატიებს...

სიტყვა თქვენზეა, ბატონო ჯემალ!

– თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ცნობილი მიზეზების გამო მეთამბაქოეობასაც იგივე დაემართა, რაც სოფლის მეურნეობის სხვა წამყვან დარგებს. ოღონდ ერთი განსხვავებით, იგი თითქმის მთლიანად განადგურდა.

ალბათ, გახსოვთ, ნაჩქარევი და მოუფიქრებელი პრივატიზაციის დროს განუკითხაობა 1991 წლიდან მოყოლებული, კარგა ხანს იყო ჩამომდგარი მშრომელი კაცის კარზე და ამან გლეხს გზა-კვალი აუბნია, წყალიც საკმაოდ აიმღვრა...

ლაგოდეხის რაიონის მაშინდელ გამგებლამდე, ნუგზარ კაკაშვილამდე, თუ რაიმე მატერიამ მოაღწია, მან ერთიანად მოუთავა ხელი. უძალლო



სოფელი ნახა და უჯოხოდ დაიწყო სიარული:

**– რა ჩაიდინა ამისთანა, რომ აღარ ინდობთ?**

– რა და, წლობით ნაშენ და ნაამაგარ დარგს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის მთლიანად მოუსპო.

**– მაინც რას გულისხმობთ?**

– ბიუჯეტის შესრულების საბაბით, თამბაქოს ფოთლის საშრობები ზოგი შვიდას ლარად გაიყიდა, ზოგი რვაასად. ახალმა მეპატრონეებმა კი ისინი დაშალეს და სამშენებლო ხის მასალად გაყიდეს.

მთელი უბედურება კიდევ ის არის, რომ რაიონში ასეთი განუკითხაობა დღესაც ზეიმობს და თუ გადარჩა რამე, ისიც კომერციულ ფასებში იყიდება.

**– კი მაგრამ, გამგებელს რას ემართლებით, მისი რა ბრალია, თუ ახალმა მეპატრონემ საშრობი მისი საკუთრება, როგორც უნდა ისე გამოიყენა?**

– ჯერ ერთი, ისინი არ უნდა გაყიდულიყო. ახლა ასეთი საშრობის აშენებას სულ ცოტა 18-20 ათასი ლარი მაინც დასჭირდება. ვინ არის დღეს მისი ამშენებელი? არავინ, არადა, რომ იცოდეთ, უამისოდ ხარისხიანი თამბაქოს წარმოება წარმოუდგენელია. ერთი სიტყვით, ისინი რომ არ განადგურებულიყო, რაიონის ძირითადი დარგი და იმედი გადარჩებოდა. პრივატიზაცია ხალხის სასარგებლოდ კი არა, მათს საზიანოდ განხორციელდა.

ამდენად, თამბაქოს საშრობები დანგრევის უფლებით, არ უნდა გაყიდულიყო და რაკი გაიყიდა, მისგან შემოსავალი ისევ დარგის განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

იხ. მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმედი

# ცარიელი ტიკი ფეხზე ვერ დადგება

(მეხუთე გვერდიდან)

**— და თქვენ ამაში მაინცდამაინც გამგებელს ადანაშაულებთ, არა?**

— საშრობების განადგურებაში ლომის წილი რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მუშაკებსაც მიუძღვით. რაიონის გაღარიბებაში ისინიც საკმაოდ სცოდავენ.

**— იმათ რაღას ემართლებით?**

— ისინი ქადაგებდნენ, ხმებს ავრცელებდნენ, რომ მეთამბაქოეობა უაღრესად შრომატევადი, კაბალური დარგია და ამიტომ, მოსახლეობა თამბაქოს წარმოებაზე უარს ამბობს, საშრობები რაღა საჭიროაო...

**— ამით რისი გაკეთება უნდოდათ?**

— მხოლოდ იმისა, რომ საშრობების ლაკურკავებაში ხელი არ შეშლოდათ. ხალხისგან წინააღმდეგობას არ შეხვედროდნენ.

მართლაც, ეს პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ საშრობი დღეს რომ იდგა, მეორე დღეს უკვე დანგრეული იყო და ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტები ზოგჯერ მისი დაკურკავების შემდეგ ფორმდებოდა.

**— კი მაგრამ თქვენი მეწარმეთა კავშირი მაშინ სეირს უყურებდა? ხომ მოგეხსენებათ, ჩხუბის დამთავრების შემდეგ მუშტებს აღარ იქნევენ.**

— მეწარმეთა კავშირამდე 1997 წლის იანვარში შპს „ტაბაგო" დავაარსეთ, მისი მიზანი თავიდანვე დარგის აღორძინება და მოსახლეობის დასაქმება იყო, რაც რაღა თქმა უნდა, მეწარმეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაგვირგვინდებოდა. როგორ გგონიათ, ასეთი მიზნების შემდეგ საშრობების დანგრევის დროს გულხელდაკრეფილები ვიქნებოდით?..

სწორად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, — ძალა აღმართს ხნავსო, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ძალა მათ პირადი ინტერესებისათვის გამოიყენეს. ეს საერთო სენია. გამგებლები მიდიან და მოდიან... სოფლის სასიკეთოდ კი იოტისოდენას არაფერს აკეთებენ.

ამიტომაც გაჭირვება სოფელს დღეს ყველა მხრიდან უტევს. ყოფილი გამგებელი კი შეიძლება მინისტრად, ან უფრო დიდ თანამდებობაზე მოგვევლინოს. დამეთანხმებით, ასე სოფელს ვერ ავაშენებთ.

**— რას გვთავაზობთ?**

— მოკლედ ვიტყვი, ვისაც ხალხის ბედი აბარია, თუ მის მოვალეობას ვერ შეასრულებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

დასაგმობია ის პრაქტიკა, როცა პიროვნება წარმოებაში ნამუშევარი არ არის, როცა მას სოფელი კინოში თუ უნახავს და იგი სასოფლო რაიონის ხელმძღვანელად ინიშნება. შედეგი? — ყოველთვის სავალალოა!

თავის ქებაში ნუ ჩამითვლით თუ ვიტყვი, რომ პირველსავე წელს 100 ტონამდე თამბაქო ვაწარმოეთ, დავასაქმეთ 280 ოჯახი და შრომის ანაზღაურებაც დაუყოვნებლივ მოვახდინეთ. მომდევნო წელს კი, (1998 წ.) წარმოებამ 1200 ტონას მიაღწია და 1620 ოჯახი დავასაქმეთ...

ამ დროისათვის შპს „ტაბაგო" მეწარმეთა კავშირად გადაკეთდა.

**— მიზანი, ალბათ, იგივე დარჩა, რაც შპს „ტაბაგოს" ჰქონდა, საინტერესოა, ასეთ მოკლე დროში ასეთი მნიშვნელობის წარმატება რამ განაპირობა?**

— წელან დამავიწყდა მეთქვა, მწარმოებლებს წინასწარ ავანსს ვაძლევდით და ამას ორმხრივი სარგებლობა მოჰქონდა. რადგან, მწარმოებელი შრომის ანაზღაურებით თითქმის უზრუნველყოფილი იყო. ამიტომ გვენდო, იგი და მეწარმეთა კავშირში უყოყმანოდ გაერთიანდნენ.

მაგრამ, როცა ხელშეკრულების განაღდების დრო დადგა, რაიონში ჩვენს გარდა, იმდენი ფირმები და ფიზიკური პირები გამოჩნდნენ, რომ მათი ჩამოთვლაც კი გაჭირდება. ბევრმა მათგანმა რაიონის საგადასახადო ინსპექციის ადგილსამყოფელიც კი არ იცოდა. და მანამდე არც მეწარმეებთან ჰქონია ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების გაფორმებითა და ავანსის გაცემით დამყარდება ხოლმე.

ვფიქრობ, ასეთი მდგომარეობა მხოლოდ რაიონში არსებულ ქაოსზე და ხელმძღვანელების უდარდელობაზე მიუთითებს.

**— ისევ ნუგზარ კაკაშვილის ხსენება გინდათ?**

— არც საგადასახადო ინსპექციის ყოფილ უფროს თენგიზ ზურაბაშვილს აუტკივებია თავი რაიონში ფინანსური წესრიგის დამყარებისთვის.

ჩვენს ერთ-ერთ ფირმას მიწის იჯარის გადასახადი წინასწარ შეატანინეს. მომდევნო წელს კი მიწის ის ფართობი, რისთვისაც მან იჯარა გადაიხადა, სხვას მისცეს. 1996 წლიდან აღარც მიწა ჩანს და აღარც გადახდილი თანხა 14400 ლარი დაუბრუნებიათ. ეს, ალბათ, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდება.

მითხარით, რა ჰქვია ამას, თუ არა ქაოსი და განუკითხაობა?

რომ იცოდეთ, ლაგოდეხის რაიონში ასეთი ფაქტები უამრავია. ჩვენ კი ვოცნებობდით, რომ მიწას მოგვცემდნენ და თამბაქოს პლანტაციებს გავაშენებდით. ამისათვის ახალი ჯიშის თამბაქოს თესლის შემოტანაც კი გადავწყვიტეთ.

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ლაგოდეხელები მხოლოდ თამბაქოზე არიან დამოკიდებული. რამდენადაც ვიცი, ამ რაიონში ტექნიკური კულტურებიც კარგად ხარობს და ერთ დროს აქ ეთერზეთების ქარხანაც მუშაობდა.**

— ცოდვა როგორ ვთქვა, ამაზე ადგილობრივი მმართველობის მესვეურებმაც „იზრუნეს". 1996-97 წლებში სოფელ მაწიმში, აზერბაიჯანის საზღვართან ახალი ბაზრის მშენებლობა წამოიწყეს... ბაზარი ააშენეს,



მაგრამ რად გინდა, დღემდე მისი სიკეთე არავის უგრძვნია.

**— მაშ რა საჭირო იყო ბაზარი?**

ამბობენ, ყოფილ ხელმძღვანელობას სალეჭი რეზინის ბიზნესის წამოწყება უნდოდათ, მაგრამ ჩაუვარდათო.

ვფიქრობ, ბაზრის მშენებლობაზე დახარჯული თანხებით ტექნიკური კულტურების წარმოების აღორძინება და ხალხის დასაქმება სჯობდა. ამით მართლაც დიდი საქმე გაკეთდებოდა.

ისე რომ, რაკი რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი მეთამბაქოეობის დარგის იმედით არის. მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ თამბაქოს წარმოება კიდევ უფრო გავაფართოვოთ, რათა უფრო მეტი ხალხი დავასაქმოთ.

ამისათვის მთელი რიგი საკითხები დავამუშავეთ და მოქმედების ბიზნესგეგმა შევადგინეთ, რომელიც მხოლოდ სოფლის გამდიდრებას, გაძლიერებას, მის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ლაგოდეხის მეწარმეთა კავშირს ამ მიმართებით სათქმელი უკვე აქვს. წელიწადზე მეტია, რაც რაიონის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს ვშეფობთ და უღაოდ ვეცდებით საშეფო სამუშაოები კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. რაიონის მშრომელებისა და, განსაკუთრებით, სოფლის კეთილდღეობისათვის ბევრი სასიკეთო საქმე გვაქვს მოფიქრებული. ვნახოთ, რას მოგვიტანს 2000 წელი. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ხალხის საკეთილდღეოდ, ალბათ, ბევრი რამ შეიცვლება...

**— ჩვენი საუბარიც მაშინ გავაგრძელოთ, ახლა დროებით დავამთავროთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბატონო ჯემალ, მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით.**

— გმადლობთ.

ესაუბრა
**როლანდ ბასილაშვილი.**

## ღვინო ქართული

# სვირიდან — პარიზსა და ჩიკაგოში

(მეხუთე გვერდიდან)

რხნების მესვეურთა წარმატებები.

პირველ რიგში შეიძლება გამოვყოთ სოფელ მეორე სვირის ღვინის ქარხანა, რომელიც 1995 წელს გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და ეწოდა „სვირი".

ამ სააქციო საზოგადოებას ხელმძღვანელობს თავის საქმის შესანიშნავი ორგანიზატორი, უზადო პროფესიონალი, მაღალი ზნეობით და პატიოსნებით განთქმული პიროვნება ომარ თუთარაშვილი.

მისმა პროდუქციამ ჯერ კიდევ 1988 წელს, საერთაშორისო დათვალიერებაზე, ფრანგების დიდი ყურადღება მიიპყრო და მათ 8000 ლიტრი „ციცქა" და „ცოლიკაური" წაიღეს თავის ქვეყანაში სარეალიზაციოდ.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება „სვირის" კოლექტივმა კონტრაქტი გააფორმა შპს „კასტელ გეორგიასთან", რომელიც ქართული ღვინოების დისტრიბუტორია მთელ მსოფლიოში.

ომარ თუთარაშვილმა და „კასტელ გეორგიას" პრეზიდენტმა ლევან იოსელიანმა გააანალიზეს „სვირის" შესაძლებლობები და გადაწყდა ერთობლივი ძალისხმევით იმერული ღვინოებით გაემდიდრებიათ „კასტელ გეორგიას" კოლექცია.

შემოქმედებითმა ურთიერთობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. გაჩნდა ახალი ღვინო: „სათავადო წითელი", „სათავადო თეთრი", „არ დაიდარდო" და „მერლი", რომელიც ხარისხით, ბოთლის და ეტიკეტის დიზაინით სავსებით აკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს.

ფირმა „კასტელ გეორგია" წარმატებით ახორციელებს ამ ღვინოების ექსპორტს საფრანგეთში და ახლო მომავალში აპირებს ქარხანაში ახალი საჩამოსხმო ხაზის დამონტაჟებას, რათა გაზარდოს წარმოებული პროდუქცია, რომელზეც



მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება.

სვირის ღვინო მათი მეშვეობით ჩიკაგოშიც კი მოხვდა, სადაც „წითელ სათავადოს" და „მერლის" დიდი ინტერესით შეხვდნენ, ამიტომ „სვირსა" და „კასტელ გეორგიას" შორის კვლავ ახალი კონტრაქტი დაიდო, რის საშუალებითაც განხორციელდება სვირის ღვინოების ექსპორტი ჩიკაგოში. იანვარში ეს ღვინოები ექსპორტირებული იქნება ბელგიაშიც.

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს მთავრობამ გამონახა თანხები იმერეთში მევენახეობის ასაღორძინებლად.

მეორე სვირის ქარხანა ქონების ჩადების გარანტიით მონაწილეობდა კონკურსში და 44 ქარხნიდან რიგით მეოთხეს ერგო 200.000 ლარი, რომელიც მოხმარდება ღვინის ხარისხის ამაღლებას და ქარხნის ტექნოლოგიურ სრულყოფას.

ამ მიმართულებით მოღვაწეობენ ქვედა საზანოს ღვინის ქარხანაშიც, რომლის პროდუქცია შესულია GWS კოლექციაში, ეს ფირმა ხომ ქართული ღვინოების ექსპორტიორია ჰოლანდიაში.

საზანოს „ციცქა" ოდითგანვე ითვლებოდა სამეფო ღვინოების მასალად, ამიტომ ამ ღვინოების დაფასოება ხდება თავად GWS ფირმაში.

ისევ აღიდგინა თავისი ავტორიტეტი საზღვარგარეთ ზესტაფონურმა ღვინოებმა, ისევ გამოჩნდნენ ენთუზიასტი სპეციალისტი-პროფესიონალები, რომლებიც დიდი რუდუნებით საქმიანობენ ამ სფეროში. მათი ნახელავი მართლაც სანიმუშო და უნიკალურია.

ასე რომ, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში საახალწლო სუფრას ქართული ღვინოებიც დაამშვენებენ.

**ჰენრი შარიძაძე,**
„სრ" საკ. კორ.

**სურათზე:** „სვირის" მიერ საექსპორტოდ გამზადებული „სათავადო წითელი", „სათავადო თეთრი", „არ დაიდარდო" და „მერლი".

## რეფორმა

# მიწა — დედაა მარჩენალი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მიწის ბაზრის განვითარება და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

1996 წლის მარტში, ივნისსა და ნოემბერში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებისა და იჯარის, აგრეთვე, მიწის რეგისტრაციის შესახებ კანონების მიღებით, ჩვენს ქვეყანაში მიწა გამოცხადდა კერძო საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის, იჯარისა და იპოთეკის საგნად.

აღნიშნული კანონების საფუძველზე, 1020 ათასმა კომლმა უსასყიდლოდ მიიღო 918 ათასი ჰექტარი მიწა.

ახლა, თქვა ედუარდ შევარდნაძემ ამას წინათ ერთ-ერთ თათბირზე, ვუახლოვდებით ახალ ეტაპს, როცა უკვე შეძენილია გარკვეული გამოცდილება და მოსახლეობამ ძირითადად უკვე მიიღო მიწა, მაგრამ მიწასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ამიტომაც ეს სისტემა სრულყოფას მოითხოვს. მან, ასევე, წამოაყენა წინადადება იფიქრონ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მეთაურობით მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნაზე, რომელშიც დეპარტამენტების, ფინანსური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელები შევლენ. მან უნდა უხელმძღვანელოს ამ პროცესებს. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ამ ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გაარკვიოს, რა შეცდომებია დაშვებული, რა შეიძლება გამოსწორდეს, რა უნდა დაკანონდეს.

დიახ, მოხდა გარკვეული დადებითი ძვრები, მაგრამ როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შემოწმებით გამოვლინდა, მიწის იჯარით გაცემის საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია მცხეთის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ბორჯომის, თეთრი წყაროს, გარდაბნისა და ქარელის რაიონებში.

მცხეთის რაიონში მოუწესრიგებელია საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებისა და რეგისტრაციის საქმე. ადგილობრივი მიწის მართვის სამმართველოს მონაცემებით, 1996-1999 წლებში გაფორმებულად ნაჩვენებია 261 საიჯარო ხელშეკრულება, მაშინ როცა, ფაქტობრივად, მხოლოდ 69 ხელშეკრულებაა გაფორმებული. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამგეობამ ამ პერიოდში გადაწყვეტილება 545 მოიჯარეზე გამოიტანა. გაურკვეველია სხვა მთხოვნელებს რა მიზეზით ეთქვათ უარი.

გამგეობის მიერ სოფლების საკრებულოების განკარგულებაში სათიბად და საძოვრად გაცემულ სავარგულებზე მიწის მართვის სამსახურს სათანადო ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული, ამდენად, საიჯარო თანხაც არა აქვთ დარიცხული. საკითხის შესწავლის პერიოდში რაიონში დაუმუშავებელი იყო იჯარით გაცემული 767 ჰექტარი მიწა, აქედან წეროვანში – 310, გლდანში – 250, საგურამოში – 67, ლისში – 60, ნიჩბისში – 40 ჰექტარი, რასაც ქალაქ თბილისის ისეთი საგარეუბნო ზონისთვის, როგორიც მცხეთის რაიონია, გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს.

1996-1999 წლებში იჯარით გაცემულ მიწებზე დარიცხულია 308229 ლარი საიჯარო გადასახადი. მიმდინარე წლის 1 მაისისათვის კი გადახდილი და ბიუჯეტში შეტანილია 138956 ლარი, მხოლოდ საიჯარო გადასახადების ფასების არასწორი დარიცხვის გამო ბიუჯეტმა 32463 ლარი იზარალა.

ასევე, მოუწესრიგებელია მიწების იჯარით გაცემის საკითხი ნინოწმინდის რაიონში, სადაც მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიაც არ განახლებულა, დღემდე დამტკიცებული დებულებაც არ გააჩნიათ, შემოღებული არა აქვთ იჯარის შესახებ განცხადებების სარეგისტრაციო ზონარგაყრილი ჟურნალი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იჯარის შესახებ გამგეობაში შემოსული განცხადებები, 1997-98 წლებში, როგორც წესი, ეგზავნებოდა მიწის იჯარით გამცემ კომისიას, ხოლო 1999 წლიდან უშუალოდ ეწერება მიწის მართვის სამმართველოს. ამასთან, ეს განცხადებები სხვა საერთო შინაარსის განცხადებებთან ერთად რეგისტრირდება მხოლოდ გამგეობაში, რაც არსებული წესების უხეში დარღვევაა.

ამ რაიონში 1997-98 წლებში მიწის იჯარის შესახებ შემოსული 523 განცხადებიდან, განხილული და იჯარა გაფორმებულია მხოლოდ 305-ზე, ამასთან, გაურკვეველია 218 განცხადების ბედი. 1999 წელს რეგისტრირებულია 34 განცხადება, ხელშეკრულება კი გაფორმებულია 38 მოიჯარეზე, ანუ ოთხით მეტზე.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ რაიონში სრულებით იგნორირებულია იჯარით გასაცემი მიწების შესახებ განცხადებებისა და საკონკურსო პირობების საჯაროობა, გარდა ამისა, ადგილი აქვს მიწის მასივების დაქუცმაცების კანონსაწინააღმდეგო შემთხვევებს და მიწის არასწორად გაცემის ფაქტებს.

მიწის იჯარით გაცემის საქმეში სერიოზული დარღვევებია ახალქალაქის რაიონშიც, სადაც მოსახლეობის ერთი ნაწილი საიჯარო მიწებს თვითნებურად, ყოველგვარი გადასახადის გარეშე იტაცებს, რის გამოც კომისია იძულებული ხდება მიტაცებული ფართობები დაუკანონოს მათ.

კომისიის მიერ განხილულია და გამგეობის მიერ დაკმაყოფილებულია იჯარის შესახებ შემოსული 1227 განცხადება, ხოლო ხელშეკრულება გაფორმებულია 132-ზე, რაიონში იჯარით გაუცემელია სახნავი – 1700, სათიბი – 2900, საძოვარი – 60300 ჰექტარი. ამ მიწების უმეტეს ნაწილს მოსახლეობა იჯარის გარეშე იყენებს, რის გამოც მათი სარგებლობისათვის გადასახადსაც არავინ იხდის, რითაც ბიუჯეტს საკმაოდ დიდი თანხა აკლდება.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა გარდაბნის რაიონში, სადაც იჯარის შესახებ შემოსულ განცხადებებს სათანადოდ არ აღრიცხავენ. ჟურნალში არ არის მითითებული, ვის და როდის გადაეცა შემოსული განცხადება განსახილველად და რა პასუხი გაეცა მას.



გამგეობასთან საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლად იყენებენ მიწას შპს „ვახტანგისი", სართიჭალის ჯიშსაშენი, ნაზარლოს მეთესლეობის, მარტყოფის მებოცვრეობისა და ლემშვენიერას მეცხოველეობის საწარმოები.

იჯარით გაცემულ ფართობებზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, რომლის ძირითადი მიზეზი აგროტექნიკური ღონისძიებების უხეში დარღვევაა (არ ხდება თესლეულის ხარისხის შემოწმება, მისი შეწამლვა და სხვა).

რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, სულ 28 საიჯარო ხელშეკრულებაა გაუქმებული 3584 ჰექტარზე, ხოლო 25 მოიჯარის საკითხი გადასახადის გადაუხდელობის გამო სასამართლოშეა გადაცემული.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიწების იჯარით გაცემის სრულყოფილად განხორციელებას, განსაკუთრებით მის საიჯაროობას, დიდად უშლის ხელს საჭირო თანხების უქონლობა, რის გამოც ადგილებზე ვერ ხერხდება მოიჯარის მიერ საიჯარო პირობების შესრულების შემოწმება, დარღვევა-ნაკლოვანებებზე დროული რეაგირება და სხვა.

ბევრ რაიონში არ ხდება იჯარით გაცემული მიწების გამოყენების შესწავლა. ამის მიზეზი ძირითადად ისაა, რომ მიწის მოიჯარეზე გაცემის შესახებ გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომი პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, ამოიწურება მიწის მართვის რაიონული სამსახურის მიერ მოიჯარესთან ხელშეკრულების გაფორმებითა და რეგისტრაციით, ხოლო რაიონების გამგეობები, ფაქტობრივად, ზედამხედველობას ვერ ახორციელებენ, რის გამოც, უმეტეს შემთხვევაში, შეუმჩნეველი რჩება მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევები, რითაც ქვეყანა ზარალობს, ამიტომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია გამგეობის მიერ მიწის იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ მოიჯარის უფლებამოსილება, როგორც წესი, გადანაწილდეს რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოზე, რომელიც ვალდებულია სრულად უზრუნველყოს მიწის იჯარის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის ადგილებზე განხორციელება. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება.

მიწის საკითხი პოლიტიკაა, ამიტომ მიწასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემას სერიოზული და ფაქიზი მიდგომა და განსჯა ესაჭიროება.

მიწა – დედაა მარჩენალი და იგი უნაყოფო არ უნდა იყოს.

**ნაზი იმნაიშვილი.**

## კონფერენცია

# მთის პრობლემები მეცნიერთა თვალით

ამას წინათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: **„საქართველოს სამთო სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები და მათი გადაწყვეტის პერსპექტივები თანამედროვე პირობებისათვის."**

კონფერენცია გახსნა და დამსწრეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ვალერიან მეტრეველი.** აღინიშნა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური და რელიეფური პირობების მიხედვით, ტერიტორიის ოთხმოცი პროცენტი სამთო ზონას განეკუთვნება, რომელიც უზარმაზარ ბიოლოგიურ, სამეურნეო და კულტურულ რესურსებს შეიცავს და მათი რაციონალურად გამოყენება უდავოდ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად საქართველოს პარლამენტის მიერ მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განათლების შესახებ მიღებული კანონისა, ჯერ კიდევ არ დაწყებულა მთიანი რეგიონების პრიორიტეტული დარგების აღმავლობა. ეროზიულმა პროცესებმა თითქმის გაანახევრა სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრების 30-35 პროცენტი, უკვე აღრიცხულია ასობით ზვავსაშიში აუზი და მეწყერწარმომქმნელი კერები, მოშლილია ტექნიკური მომსახურების სისტემა, პროგრესული ღონისძიებების წარმოებაში დანერგვა, ძალზე დაეცა მიწის სავარგულების პროდუქტიულობა, მარცვლეულის საჰექტარო მოსავლიანობა აღარ აღემატება 12-15 ცენტნერს.

დაბალ დონეზე დგას მთიანი ზონის წამყვანი დარგი – მეცხოველეობა. ასევე მოშლილია ნედლეულის გადამუშავების წარმოების და რეალიზაციის სისტემა.

ყოველივე ეს კი, როგორც ვალერიან მეტრეველმა აღნიშნა, აგრარიკოს მეცნიერებს ავალებს სიღრმისეულად გააანალიზონ მთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული პრობლემები და შეიმუშაონ დასაბუთებული, კონკრეტული ღონისძიებები მათ გადასაწყვეტად.

სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები **გოგოთურ აგლაძე, აპოლონ კოზმანიშვილი, რევაზ მახარობლიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ვახტანგ ბურკაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ნოდარ ჭითანავა,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **დავით სარიშვილი, მერი კვაჭანტირაძე, ჯუმბერ ონიანი,** აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლები **რევაზ ლოლიშვილი, გიორგი ჯომარდიძე, ნოე ხოზრევანიძე, ნუგზარ ბერიძე, ალექსანდრე სარალიძე, ვახტანგ ვაშაკიძე** და სხვები.

აგრარიკოს-მეცნიერებს მართლაც აღელვებთ მთის სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები.

**ლია ჟიღლაძე.**

## ორდენოსანი

არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი შრომით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს საზოგადოებაში, იღვაწეს უანგაროდ, აღზარდეს თაობები, მთელი ცხოვრება საყვარელ საქმეს — მეცნიერულ კვლევა-ძიებას შეალიეს და დღესაც დიდი რუდუნებითა და სიახლის ძიებით ამდიდრებენ მეცნიერებას. ასეთი პიროვნებაა სწორედ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ზარდალიშვილი.

ტექნიკურ სფეროში და, საერთოდ, მეცნიერებაში მოღვაწეობა მისი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. მისი მშობლები მსახიობები იყვნენ. მამა — იუზა ზარდალიშვილი, პროფესიით მსახიობი, თეატრების კომისარი იყო (მისი წარდგინებით მიენიჭა რუსთაველის თეატრს სახელწოდება) დედა — ნადეჟდა სირბილაძე თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი იყო. მათ ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი მსახიობები, საუბრობდნენ ხელოვნებაზე, პოეზიაზე.

ბატონი ოთარი ბუნებით ცელქი, ონავარი ბავშვი ყოფილა, მაგრამ სწავლით ყოველთვის კარგად სწავლობდა და თანატოლებისგან გონიერებით გამოირჩეოდა. მას ბავშვობიდან ჩაუნერგეს ხელოვნებისადმი სიყვარული. თეატრზე, პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი, რომელიც მსახიობი უნდა გამხდარიყო (ეს მისი მშობლების სურვილიც იყო) და ოჯახის ტრადიცია გაეგრძელებინა, უახლოესი მეგობრების რჩევითა და მათი წაბაძვით იცვლის არჩევანს და თეატრალური ინსტიტუტის ნაცვლად სწავლას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძობს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს მინისტრთა საბჭოში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, მაგრამ გრძნობდა, რომ იქ მისი ადგილი არ იყო. თავი დაანება სამსახურს და საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. იყო მეცნიერ მუშაკი, განყოფილების გამგე, გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტობიდან დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე.

ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მუშაობა დაიწყო აგროქიმიური მომსახურების საკავშირო ინსტიტუტში „ცინაო“ დირექტორის თანამდებობაზე. იქ მოღვაწეობის პერიოდში პროფესორის წოდება მიენიჭა.

პარალელურად ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1981 წლიდან კი მოღვაწეობს აგრარულ უნივერსიტეტში და აგროქიმიის კათედრას უძღვება.

ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის ახლახან ბატონი ოთარი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. სწორედ ეს გახდა მასთან შეხვედრისა და გასაუბრების მიზეზი.

*— ბატონო ოთარ! თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით საქართველოს მიწათმოქმედებაში ორგანული და მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების თეორიული საფუძვლების დამუშავებაში, როგორი შედეგები აქვს თქვენს მეცნიერულ გამოკვლევებს პრაქტიკაში?*

— ძირითადად ორი მიმართულებით ვმუშაობდი. მიკროელემენტების კვლევა სოფლის მეურნეობაში და აზოტის ბალანსის დადგენა საქართველოს მიწათმოქმედებაში. მონაწილეობდი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო კონფერენციებში. ამ გამოკვლევათა შედეგებმა 1976 წელს აგროქიმიკოსთა VIII მსოფლიო კონგრესზე მედალი და დიპლომი დაიმსახურა.

მნიშვნელოვანია ის გამოკვლევები, რომლებიც მიკროელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით შესრულდა. საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების 17 რაიონისთვის შედგენილია მიკროელემენტების: ბორის, მანგანუმის, მოლიბდენის შემცველობის მსხვილმასშტაბიანი რუკები, ამავე ელემენტების გავრცელების წვრილმასშტაბიანი რუკა მთელი საქართველოსთვის.

მიკროელემენტებზე ჩატარებულ გამოკვლევებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის.

ჩემს მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და მეთოდურ მითითებებში ძირითადად საუბარია სასუქების დოზებისა და ნიადაგში მათი შეტანის წესებზე. ამ მითითებების დაცვა მოსავლიანობას 12-15 პროცენტით ზრდის. მიკროელემენტები ხელს უშლიან მცენარეში ნიტრატული აზოტის დაგროვებას, რითიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მიიღება.

***— სამწუხაროდ, დღეს ბაზარზე, უმეტეს შემთხვევაში, აღარ გვხვდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. თქვენ, როგორც დარგის სპეციალისტი არსებული მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავთ?***

— დღეს ბაზარში, მართლაც, მცირეა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. სუპერმარკეტებში უხვადაა უცხოური ნაწარმი. აუცილებელია ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების აღდგენა, რომლებიც რაიონებში სოფლის მეურნეობის წარმართვის საფუძველი გახდება.

აგროქიმიკოსები ძირითადად სასუქებზე მუშაობენ. მოსავლის მატების 50 პროცენტი სწორედ სასუქებზე მოდის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ღონისძიებები არ უნდა განხორციელდეს. დღეს უამრავი მეთოდური მითითება არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ფერმერები დამოუკიდებლად მუშაობენ და სპეციალისტთა რჩევებს არ ითვალისწინებენ. ფერმერი აგროქიმიკოსისა და აგროქიმიური ლაბორატორიის გარეშე ვერ იმუშავებს. საკუთრების რა ფორმაც უნდა დამყარდეს ჩვენთან, მიწა ეროვნული საკუთრებაა, მას გაფრთხილება სჭირდება, მისი მოვლა მხოლოდ ცოდნით შეიძლება, მისი მცოდნე კი — აგროქიმიკოსი-ნიადაგმცოდნეა.

*— რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?*

— ჩვენში შესანიშნავი კლიმატია, ყველა პირობა არსებობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად. საქართველოს ნიადაგების მუზეუმს უწოდებენ, ვინაიდან, აქ ყველა ტიპის ნიადაგებს შეხვდები. მისი კვლევა მხოლოდ დარგის სპეციალისტებს შეუძლია, რაც, სამწუხაროდ, აღარ ხორციელდება.

ათი წელიწადია ჩვენთან ნიადაგების კვლევა არ ჩატარებულა, უწინ ყოველ ოთხ წელიწადში ტარდებოდა. საჭიროა აღდგენილმა აგროქიმიურმა ლაბორატორიებმა განახორციელონ სამუშაოები ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლების დასადგენად და სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

დღეს ფერმერები ნიადაგში სასუქების შეტანისას მეცნიერულ საფუძვლებს არ ითვალისწინებენ. როცა ნიადაგი გამოიფიტება და ფერმერები უხარისხო პროდუქციას მიიღებენ, აგროქიმიკოსებს მაშინ მიაკითხავენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იქნება.

***— ბატონო ოთარ! თქვენ არაერთი სამეცნიერო შრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი ბრძანდებით, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობთ აგროქიმიის კათედრას, რა სიახლეა თქვენთან?***

— ბოლო დროს ჩვენმა ხელისუფლებამ გარკვეული ყურადღება დაუთმო აგროქიმიურ სამსახურს. ეს დიდი მიღწევაა და აუცილებელიცაა. როგორც ვთქვით, აღდგა აგროქიმიური ლაბორატორიები, საჭიროა მისი სათანადო კადრებით შევსება. დიდ მუშაობას ვეწევით კათედრაზე შემავალი დისციპლინების წარმართვაში. შევიმუშავე ახალი საგანი — „ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმართვის საფუძვლები“, ვმუშაობ სხვადასხვა მეთოდური მითითებების შედგენაზე. ვფიქრობ, საკმარისია, საკუთარი თავის ქება მეუხერხულება...

ჩვენი გაზეთის მკითხველმა მინდა ისიც იცოდეს, რომ ბატონი ოთარი დიდ მუშაობას ეწევა მეცნიერულ-პედაგოგთა მომავალი თაობის აღზრდისათვის. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ერთი დოქტორი, 26 კანდიდატი დღესაც ორ დოქტორანტსა და სამ ასპირანტს ხელმძღვანელობს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები.

როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, იგი არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს მონოგრაფიისა და თანამედროვე აგროქიმიის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ სახელმძღვანელოს გამოცემა.

მისი ცხოვრების მიზანი ყოველთვის ღირსება და პატიოსნება იყო. ღირსეული ოჯახის შვილი მუდამ იმის ფიქრშია, რომ თავისი გვარი არ შეარცხვინოს. სწამდა უფლის განგების, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქმნებისო“ — უთქვამს დიდ შოთას. აღსრულდა კიდეც წინასწარმეტყველება. სასიამოვნოა, რომ დაფასდა ბატონი ოთარის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რისი დასტურიც მისი ღირსების ორდენით დაჯილდოებაა.

გილოცავთ! ეგ ერთი და სხვა მრავალი, ბატონო ოთარ!

**მაია ასაკაშვილი.**

# „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების...“



## ბარაქა!

### საახალწლო სიხარული

2000 წლის მოახლოება ერთიანად ახარებს დიდსა და პატარას... ქუჩებში, მაღაზიებსა და ბაზრებში უკვე შესამჩნევი ხალხმრავლობაა.

ტრადიციისამებრ ჩვენს საახალწლო სუფრას გემრიელი ნუგბარი — გოზინაყი, სხვადასხვა ტკბილეული და ხილი დაამშვენებს. ხილთა შორის კონკურსი რომ გაიმართოს, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებული ციტრუსი გამოვა, რადგან განუმეორებელი შეფერილობითა და გემოვნებით მას ბადალი არ მოეძებნება.

ამ მხრივ წლეულს ნამდვილად გაგვიმართლა, ჩვენი შიდა ბაზარი გაჯერებულია ქართული, ოქროსფერი ნაყოფით, ფასიც ხელმისაწვდომია. როგორც ეტყობა, ჩვენს მეციტრუსეებს გარჯა და გულმოდგინება არ დაუკლიათ, რათა უხვი მოსავალი მიეღოთ, მიიღეს კიდეც. მთლიანად რესპუბლიკაში 48.000 ტონა ციტრუსი დამზადდა, გურიაში მოიკრიფა 7.100 ტონა, სამეგრელოში — 1600, აჭარაში — 39 ათასი ტონა. ოქროს რთველი დღესაც გრძელდება.

ბარაქა ნუ მოკლებოდეს ჩვენს ქვეყანას.

მრავალ ახალ წელს!

### საერთაშორისო კონკურსი

ქართული ღვინოების თამადა: რქაწითელი, ხვანჭკარა, მუკუზანი, ქინძმარაული და ძველი თბილისი. აგრეთვე, ქართული ბრენდი GWS შესაბამისად, 6 ოქროს და 1 ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე.

საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების კომპანიის GWS-ის მიერ წარმოებულ ღვინოებისა და ბრენდის ხარისხი მოსკოვში მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა შეამოწმეს.

GWS-ის ღვინოების და ბრენდის გარდა, საერთაშორისო კონკურსზე საკუთარი პროდუქცია წარადგინეს იტალიის და ესპანეთის, აგრეთვე, ბალტიისპირეთის და დსთ წევრი სახელმწიფოების კომპანიებმა.

**ნაზი იმნაიშვილი.**

## ღიმილი



— ექიმო, მკურნალობა კიდევ დიდხანს დამჭირდება?

— ჯერ სადა ხარ...

— რა ხდება, კაცო, მეცხრე ენერგობლოკი ხომ არა ვარ?

ედუარდ ამბოკაძის ნახატი როლანდ ბასილაშვილის ტექსტის მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიძიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძობულია, ლია ჭიღლაძე.

## ყანდაღარი: მოლაპარაკება გრძელდება



ინდოეთის ოფიციალურმა პირებმა ავღანეთის ქალაქ ყანდაღარში განაახლეს მოლაპარაკება ავიალაინერის გამტაცებლებთან, რომლებიც კვლავინდებურად არ უშვებენ 160 მძევალს. პირველი რაუნდი გვიან ღამემდე მიმდინარეობდა და იგი რადიოკავშირის მოულოდნელი გაწყვეტის გამო შეჩერდა. ახლა თვითმფრინავი უმუქოდ არის დარჩენილი – გამოირთო ძრავები, რომლებიც ეს ოთხი დღე მუშაობდნენ და სალონს ათბობდნენ. თალიბანის მმართველი მოძრაობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თვითმფრინავს აიძულებენ, დატოვოს ქვეყანა, თუ მოლაპარაკება ვერ მოიტანს შედეგს. გამტაცებლები მოითხოვენ ქაშმირელი სეპარატისტებისა და ისლამური სასულიერო პირის განთავისუფლებას საპატიმროდან.

* * *

უშიშროების ძალებმა ქაშმირში ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ისლამისტ სეპარატისტებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს არეულობის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო სააგენტოს შტაბი. შრინაგარის შტაბზე იერიშის დროს ბოევიკებმა მოკლეს ოთხი და დაჭრეს ათი პოლიციელი.



## ფუხიმორი მესამედ აპირებს პრეზიდენტობას

პერუს პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს, იბრძოლოს მესამე ვადით არჩევისათვის მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის თქმით, კონსტიტუცია არ იძლევა ამის უფლებას. ტელევიზიით გამოსვლისას ფუხიმორიმ განაცხადა, რომ თავის კანდიდატურას წამოაყენებს აპრილის არჩევნებში, რათა დაასრულოს ყოველივე, რაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გააკეთა. ოპოზიცია ბრალად სდებს პრეზიდენტს, რომ იგი ცდილობს, შეცვალოს კონსტიტუცია, რათა მესამე ვადით გაიდეს პრეზიდენტად. 1990 წელს გახელისუფლების შემდეგ, ფუხიმორიმ ფართო მოწონება დაიმსახურა იმით, რომ განახორციელა საბაზრო რეფორმა, ბრძოლა გამოუცხადა ნარკოსაქმოსნებს და პრაქტიკულად გაანადგურა მემარცხენე პარტიზანული მოძრაობა „ნათელი გზა“. მაგრამ სამართალდამცველი ჯგუფები მას ბრალად სდებდნენ ოპოზიციაზე თავდასხმებს, კანონებით მანიპულირებას და ჟურნალისტთა დაშინებას.

## შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები ხალხს დაერივნენ





ნიუ-იორკში დააკავეს საზოგადოებრივი მართლწესრიგის ორი დამრღვევი იმისათვის, რომ ერთმა მათგანმა სროლა ატეხა ტაიმ-სკვერის ღამის კლუბში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. დამრღვევები აღმოჩნდნენ შონ კომბზი და მისი მეგობარი გოგონა ჯენიფერ ლოპესი. ორივენი არიან საქვეყნოდ ცნობილი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები, მრავალი მუსიკალური ჯილდოს მფლობელები.

როგორც პოლიცია ვარაუდობს, ინციდენტი მოხდა მას შემდეგ, რაც მილიონერმა კომბზმა ვიღაცასთან კამათისას ვერ იპოვა საერთო ენა და არგუმენტად მოიშველია იარაღი. სროლის შედეგად დაშავდა სამი კაცი; მათგან ორი ჰოსპიტალიზებულია. ამ ბათქა-ბუთქის შემდეგ კომბზი და ლოპესი ჩასხდნენ თავიანთ ავტომობილში და შეეცადნენ მიმალულიყვნენ, მაგრამ ისინი პოლიციამ დააკავა. კომბზს უნახეს რეგისტრაციაში გაუტარებელი პისტოლეტი, რომელიც, თურმე, იძებნებოდა.



ორივე პოპვარსკვლავს, აგრეთვე, მათთან ერთად მყოფ მცველს და მძღოლს წაუყენეს მოპარული იარაღის უკანონო შენახვის ბრალდება. ამჟამად ყველანი პოლიციაში იმყოფებიან და ჩვენებებს იძლევიან.

შონ კომბზი არის მრავალმილიონიანი ქონების მფლობელი და მე-15 ადგილზეა მსოფლიოს უმდიდრესი შოუმენების სიაში. ჯენიფერ ლოპესი – პოპულარული მსახიობი და პოპშემსრულებელი ამერიკის 90-იანი წლების სექს-სიმბოლოდ არის აღიარებული.

აპრილში კომბზი ერთხელ უკვე დააკავა პოლიციამ ხმისჩამწერი კომპანიის თანამშრომლის ცემის გამო.

## ვირტუალური თაღლითობა

ორ თაღლითს ხუთი წლის პატიმრობა ემუქრება ინტერნეტში განხორციელებული უკანონო მაქინაციების გამო. ნოემბრის შუა რიცხვებში ბეეერლიჰილზელმა 23 წლის არამ გონშალიმ და მისმა მეგობარმა ხუტენ მელამედმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს არასწორი ინფორმაცია, რომელმაც გამოიწვია ერთ-ერთი პოლიგრაფიული კომპანიის აქციების ღირებულების ზრდა ცალში 13 ცენტიდან 15 დოლარამდე. ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ამ ფირმის ყიდვას აპირებს მეორე, გაცილებით უფრო მსხვილი ამერიკული კომპანია. ასობით ელექტრონული მისამართით ცნობის დაგზავნის წინ, თაღლითებმა იყიდეს 130-130 ათასი აქცია, ხოლო შემდეგ, როდესაც მათი ღირებულება გაიზარდა, მაშინვე გაყიდეს ფასიანი ქაღალდები და ამ ოპერაციის შედეგად 345 ათასი დოლარი იშოვეს.

## „დისკავერი“ დედამიწაზე დაბრუნდა

ამერიკის კოსმოსური ხომალდი „დისკავერი“ წარმატებით დაეშვა ფლორიდის კენედის სახელობის კოსმოდრომზე. აქამდე, ძირსდაშვებას აბრკოლებდა ძლიერი ქარი. ხომალდის ეკიპაჟმა რვა დღე დაჰყო კოსმოსში, რათა შეეკეთებინა „ჰაბლ“ ორბიტული ტელესკოპი. ნასას ამასწინანდელი პრობლემების შემდეგ „დისკავერის“ წარმატებული მისია დღესასწაულის საბაბი გახდა. როგორც ცნობილია, აქამდე ორი გაფრენა მარსზე მარცხით დამთავრდა. ტექნიკური პრობლემები ჰქონდათ კოსმოსურ ხომალდებსაც.



## ჩეჩენი მეომრები ინარჩუნებენ გროზნოს

რუსეთის ჯარები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებიან, რაც გროზნოს ცენტრისკენ მიიწევენ. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განაცხადა, რომ ქალაქი მეტისმეტად კარგად არის დაცული მასირებული შეტევის წარმოებისათვის. მან, აგრეთვე, თქვა, რომ ბოევიკებმა მოიმოქმედეს კონტრშეტევები, რათა რუსეთის ძალებს ვერ დაეწესებინათ კონტროლი გროზნოს სამხრეთით, იმ მარშრუტზე მდებარე რამდენიმე პატარა ქალაქისათვის, რომლითაც ხორციელდება მისი მომარაგება.



რუსეთის არტილერია განაგრძობს მასირებული ცეცხლის დაშენას მაშინ, როდესაც ბოევიკები თავიანთ პოზიციებს იცავენ, ძირითადად, ჩუბინებისა და დანაღმული ველების მეშვეობით. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ჩეჩნეთის კამპანიაში უკვე დაიღუპა 300 და დაიჭრა 1000-ზე მეტი ჯარისკაცი. პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა კვლავ დაადასტურა, რომ ჩეჩენ სეპარატისტებთან ბრძოლა „გეგმის მიხედვით“ მიმდინარეობს.

## მეხუთე რესპუბლიკის ეროვნული ტრაგედია

უკვე მესამე დღეა საფრანგეთი ეკოლოგიურ წარღვნას და კატასტროფულ ქარიშხალს განიცდის. მეტეოროლოგების აზრით, ეს არის დღემდე არნახული ბუნებრივი კატაკლიზმა (ბევრმა ამ ტაიფუნს ისტორიულიც კი უწოდა, ქარის სიჩქარე 170-210 კმ/საათში იყო), რომელიც მოულოდნელად დაატყდა თავს ჰექსაგონს და უზარმაზარი მორალური და მატერიალური ზარალი მიაყენა ევროპის ამ ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოს. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 60-მდე და დაშავდა ათასობით ადამიანი, მატერიალური ზარალი რამდენიმე მილიარდ ფრანკს შეადგენს, საგრძნობლად დაზიანდა გზები და მიმოსვლის სხვა საშუალებები. 3 მილიონ 400 ათასი ოჯახი უელექტროენერგიოდ დარჩა, მობილიზებულია მაშველთა ასობით ჯგუფი. ფრანგმა ენერგეტიკოსებმა (ედფ) საშველად მიმართეს გერმანელ და ბრიტანელ კოლეგებს, ვინაიდან არსებული ძალები არასაკმარისია, რათა მოკლე დროში ჩააყენონ მწყობრში პირისაგან მიწისა აღგვილი მაღალი ძაბვის ხაზების მეოთხედი. როგორც ენერგოსისტემის ადგილობრივი მესვეურნი იუწყებიან, ახალ წელს მილიონობით ფრანგი სანთლის შუქზე შეხვდება, იმდენად მძიმე და შრომატევადია აღდგენითი სამუშაოები.

სამხრეთ-დასავლეთში, სადაც გრიგალი ორშაბათ-სამშაბათს მძვინვარებდა, დღესაც შეწყვეტილია მატარებლებისა და თვითმფრინავების მოძრაობა.

უდიდესი ზარალი განიცადა საფრანგეთის მდიდარმა ფლორამ. მარტო ვენსენისა და ბულონის ტყეებში 140 ათასი ხეა ძირფესვიანად მოგლეჯილი, მნიშვნელოვნად განადგურდა ვერსალის და რამბუიეს ტყეები, ლოტარინგიაში 10 მილიონი კუბური მეტრი ტყის ზარალს ითვლიან. თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელით დარგული ხეებიც კი ძირფესვიანად ამოიღო გრიგალმა.

მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ისტორიული მონუმენტების დიდი რაოდენობა, მათ შორის მონ-სენ-მიშელი და პარიზის პანთეონი, ლუვრის, ორსეს და საოკეანო მუზეუმები. სამწუხაროდ საგრძნობლად დაზიანდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სულ ახლახან აღდგენილი ფასადი, საუკეთესო ვიტრაჟები, მათ შორის სენ-შაპელის ცნობილი „დაბადება“ ნამსხვრევებად იქცა.

ვერც საახალწლოდ მორთული პარიზი გადაურჩა გრიგალს – ელისეს მინდვრები, ფოშის გამზირი, სადაც ძირფესვიანად მოგლეჯილი ასწლოვანი ხეები მნახველს გულს უკლავს. ქალაქის ძირითადი არტერიები პარალიზებული იყო მრავალი საათის განმავლობაში. დაზიანდა უამრავი შენობა-ნაგებობა, დროებით შეწყდა წყალმომარაგება, დაზიანდა სატელეფონო სისტემები.

პრეზიდენტმა შირაკმა მოსახლეობას სოლიდარობისაკენ მოუწოდა და სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა შარანტისა და შარანტ-მარიტიმის დეპარტამენტებში, ბრეტანის ატლანტიკის სანაპიროზე, სადაც ბრეტანის ყურეში 12 დეკემბერს ჩაძირული ტანკერის ამოკო-კადიზის ტვირთი – 10 ათასი ტონა ნავთობი, ამჟამად უკვე მაზუთად ქცეული, ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება საფრანგეთის ამ ულამაზეს კუთხეს.

**ვლადიმერ ზარიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
პარიზი, 28 დეკემბერი.



## გრიგალის შედეგები

ძლიერი გრიგალი დაატყდა თავს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს. ამასობაში ფრანგები ანგარიშობენ ზარალს, რომელიც მათს კულტურულ მემკვიდრეობას მიადგა. ორშაბათს ძლიერმა ქარებმა გადაუქროლა ჩრდილოეთ ესპანეთსა და საფრანგეთს და შეიწირა კიდევ ათი კაცის სიცოცხლე. ამრიგად, ბოლო დღეების მანძილზე მსხვერპლთა რიცხვმა ასს მიაღწია.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჟორიშვილი.

— წყალბურთი —

## 10-დან 10 ქულით!

მოსკოვში, ყაზანსა და ვოლგოგრადში დამთავრდა ჭაბუკ (1984-85 წ.წ. დაბადებულნი) წყალბურთელთა რუსეთის პირველობის პირველი ტური. 20 გუნდთან ერთად ასპარეზობდა თბილისის „ლაგუნა-ვერე“ (მწვრთნელი – სოსო მაისურაძე).

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია 1985-87 წლებში დაბადებული სპორტსმენებით, მან დაამარცხა ხუთივე მეტოქე: კერძოდ, „სპარტაკი“ (ასტრახანი) – 14:5, „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) – 8:6, „პორტი“ (ტუაფსე) – 10:5, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) – 8:5, „ვიტიაზი“ (სარატოვი) – 15:5.

ქართველმა წყალბურთელებმა უფლება მოიპოვეს იასპარეზონ რუსეთის ღია პირველობის მეორე ტურში, რომელიც აპრილში კვლავ ვოლგოგრადში გაიმართება. ჩვენს გუნდს დიდ დახმარებას უწევს „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორი, საქართველოს წყლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი ვლადიმერ გოიაშვილი. გუნდის რუსეთში გამგზავრებას დიდად შეუწყო ხელი წარსულში ცნობილმა წყალბურთელმა, სპორტის ოსტატმა დავით რურუამ.

ასპარეზობის მსაჯთა შორის გახლდათ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, თბილისელი ირაკლი კიკალიშვილი.

აი, ისინიც, ვინც თავი გამოიჩინა რუსეთის პირველობის პირველ ტურში: ვლადიმერ გურგენიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, თამაზ მანძულაშვილი, ილია ბუტიკაშვილი, ლევან კვარაცხელია, ძმები ავთანდილ და ირაკლი ბაზაძეები, დავით კალანდაძე, ზურაბ რურუა, გიორგი ჯოხაძე, გურამ კოტარია, ოთარ ქიქოძე, გიორგი ჩხეიძე. ისინი, ძირითადად, თბილისის 101-ე სკოლის (დირექტორი – ბადრი დვალი) მოსწავლეები არიან.

**გარი გაგნიძე.**



სურათზე: რუსეთის პირველობის პირველ ტურში გამარჯვებულნი.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

— რჩეულნი —

## აქაც ნინო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული გამოკითხვის შედეგების მიხედვით სახელოვანი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე ქვეყნის 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა – 242 ქულა. შეგახსენებთ, რომ მას ბადალი არ ჰყავდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ამასწინანდელ რეფერენდუმშიც. გაუწყებთ უძლიერესი ათეულის სრულ შემადგენლობას მასმედიის ვერსიით:

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) – 242,
**ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო) – 183,
**გიორგი რევაზიშვილი** (ძიუდო) – 180,
**გიორგი კანდელაკი** (კრივი) – 121,
**კობა გოგოლაძე** (კრივი) – 100,
**აკაკი ჩაჩუა** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 91,
**კახა კალაძე** (ფეხბურთი) – 76,
**ვლადიმერ სტეფანია** (კალათბურთი) – 54,
**ემზარ ბედინეიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) – 53.
**ვანო გამხიტაშვილი** (სამბო).

— საუკუნის გასაყართან —

## დრო ფიქრისა და განსჯისა

**მართლაც საპასუხისმგებლო მომენტი გვიდგას: მოდის ახალი წელი, და როდის, თუ არა ახლა, უნდა გადავხედოთ ჩვენს ნაშრომ-ნაღვაწს, გაკეთებულს, ვერგაკეთებულს, შევაჯამოთ ეს ყველაფერი, რათა 2000 ოლიმპიურ წელს გარკვეული სტრატეგიით შევხვდეთ...**

თბილისის მერიის სპორტის სამმართველოში სწორედ ამ საკითხებზე ჰქონდათ მსჯელობა გუშინწინ აქ შეკრებილ სპეციალისტებს, დედაქალაქის სპორტკომიტეტების, სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს. სამმართველოს უფროსმა **ვლადიმერ კანკავამ** მიმოიხილა 1999 წელს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შედეგები. აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულებამ „მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დღის წესრიგში დააყენა სპორტის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად სახეცვლილების აუცილებლობა. ამიტომაც, სპორტის სამმართველოს მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა ზრუნვა დედაქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ამ სფეროში მასობრივად ჩაბმისათვის, რაც დიდ სპორტში წარმატებების საფუძველიც გახლავთ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის 7 დეკემბრის ცნობილი დადგენილების შემდეგ დედაქალაქის ათივე რაიონში აღსდგა ადრე გაუქმებული სარაიონო სპორტკომიტეტები, სისტემატური ხასიათი მიეცა სარაიონო, საქალაქო მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებს, იმართება სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, თბილისის პირველობები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

1999 წელს სპორტის სამმართველომ მოახერხა გაემართა 114 სხვადასხვა სპორტული ასპარეზობა, მათ შორის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ეროვნული ნაკრების დონეზე ხელბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ძიუდოში (საკლუბო გუნდების ჩემპიონატი), სხვა ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის სპორტსმენები ქვეყნის ნაკრები გუნდების 90 პროცენტს შეადგენენ და საკმაო წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

სპორტის სამმართველოს უფროსმა ისაუბრა, აგრეთვე, სხვა საინტერესო საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე. კონკრეტული პრობლემების ირგვლივ მსჯელობდნენ სპორტის სპეციალისტები: **როზა ბერიკაშვილი, გივი ცქიტიშვილი, ელდარ ფარჯანაძე, გივი ყირმელაშვილი, ომარ ბლიაძე.** აღინიშნა, რომ სიმძიმის ცენტრი სპორტული მუშაობისა თანდათან თბილისისკენ გადმოდის, რაც კიდევ უფრო ზრდის დედაქალაქის სპორტის ყველა მესვეურის, მწვრთნელის, სკოლებისა და სახეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას.

შემაჯამებელ თათბირზე გამოითქვა ღრმა რწმენა, რომ, მიუხედავად საკმაოდ არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობისა, ქვეყანა შეძლებს შეინარჩუნოს მდიდარი სპორტული ტრადიციები, ალზარდოს სპორტსმენთა ახალი თაობები, რომლებიც კვლავაც ღირსეულად წარმოაჩენენ ქართულ სპორტს ყველაზე მაღალი რანგის ასპარეზობებზე.

**ანზორ ბასილაია.**



სურათზე: შემაჯამებელი თათბირის დროს.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

— რეპლიკა —

## როცა დიდ ტენორებს ასახელებთ, ნუ გამოტოვებთ... კარუზოს!

### ბორის პაიჭაძე არ გაუგონიათ?

მოსკოვის „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა მიმოხილვა, სადაც დასახელებულია, როგორც გაზეთი წერს: „XX საუკუნის სამამულო ფეხბურთის 50 კაშკაშა ვარსკვლავი“.

ყოველი ასეთი შერჩევა, ცხადია, მეტ-ნაკლებად სუბიექტურია, დიდი პრეტენზიის წაყენება, თუ „მეტისმეტი“ არ გააკეთეს, შეუძლებელია. ჩვენც გავეცნოთ ამ სიას და ვნახოთ, რამდენად ობიექტურია იგი.

მიმოხილვას აქვს ასეთი შეფასებები: „საუკეთესო საუკეთესოთა შორის“ და „ვინ მოსდევს მას“. სიაში ძირითადად ომისშემდგომი პერიოდის ფეხბურთელებია წარმოდგენილი, თუმცა, არიან 30-იანი წლების გამოჩენილი ოსტატებიც.

მეკარეთაგან საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიჩნეულია ლევ იაშინი. მის გარდა (ანბანით), დასახელებული არიან: რინატ დასაევი, ანზორ კავაზაშვილი და ალექსეი ხომიჩი.

მცველთა შორის საუკეთესოდ აღიარებულია ალექსანდრე ჩივაძე. შემდეგ მოდიან (კვლავ ანბანით): ვლადიმერ ბესონოვი, ევგენი ლოვჩევი, ალექსანდრ სტაროსტინი, ვაგიზ ხიდიატულინი, მურთაზ ხურცილავა, ალბერტ შესტერნიოვი, ვიქტორ შუსტიკოვი. ავტორებმა ვერ გამონახეს ადგილი ვერც გივი ჩოხელის, ვერც რევაზ ძოძუაშვილისათვის. როგორც იტყვიან, მათი ნებაა, მაგრამ...

საუკეთესო ნახევარმცველად მიჩნეულია ვალერი ვორონინი. მასთან ერთად დასახელებული არიან ლეონიდ ბურიაკი, იური ვოინოვი, ვიტალი დარასელია, იგორ დობროვოლსკი, ალექსანდრ ზავაროვი, დავით ყიფიანი, ვიქტორ კოლოტოვი, ალექსეი მიხაილიჩენკო, ვლადიმერ მუნტიანი, იგორ ნეტო, ხორენ ოჰანესიანი და ფედორ ჩერენკოვი. აქ შეიძლება ზოგი რამ სადავოა, მაგრამ რაც არის, არის.

აი, იმ 25 თავდამსხმელს შორის კი, რომლებიც რედაქციამ შეარჩია... თუმცა, სჯობს, ჯერ შერჩეულები ჩამოვთვალოთ...

საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ, ფორმალური მონაცემებით, ოლეგ ბლოხინის ჩათვლა კი შეიძლება, მაგრამ ამ მოსაზრებას ბევრი არ დაეთანხმება და სწორიც იქნება. ახლა კი ვნახოთ, როგორც თვით რედაქცია აფასებს, „ვინ მოსდევს მას“. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, გვარები ანბანის მიხედვით არის განაწილებული: იგორ ბელანოვი, კონსტანტინ ბესკოვი, ვსევოლოდ ბობროვი, მიხაილ ბუტუსოვი, ანატოლი ბიშოვეცი, ავთანდილ ღოღობერიძე, პეტრე დემენტიევი, ვალენტინ ივანოვი, ანატოლი ილინი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვასილ პაველოვი, ვიქტორ პონედელნიკი, ალექსანდრ პონომარიოვი, ოლეგ პროტასოვი, სერგეი სალნიკოვი, ფედორ სელინი, ნიკიტა სიმონიანი, ნიკოლაი სტაროსტინი, ედუარდ სტრელცოვი, გრიგორი ფედოტოვი, გალიმზიან ჰუსაინოვი, იგორ ჩისლენკო, მიხაილ იაკუშინი.

ის, რაც აქ ამოვიკითხეთ (უფრო სწორად, ვერ ამოვიკითხეთ), უშვიათეს კურიოზთა რიცხვს თუ მიეკუთვნება. არც ერთ ქართველს არ სჭირდება იმისი განმარტება, თუ ვინ იყო „ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებული ბორის პაიჭაძე. ავტორს გაუგონია მისი გვარი, რახან წერს, რომ ავთანდილ ღოღობერიძემ მისგან მიიღო კაპიტნის სამკლაური. სხვა საკითხია, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს მის ძალაზე, მის განუმეორებელ ხელოვნებაზე. ავტორს, რომელიც, შესაძლოა, სრულიად ახალგაზრდა კაცია, შეეძლო წაეკითხა ევგენი ევტუშენკოს ცნობილი ლექსი გაიოზ ჯეჯელავაზე, საიდანაც გაიგებდა, ვინ იყო ბორის პაიჭაძე, ანდა, მის მიერ ჩამოთვლილ თავდამსხმელებთაგან (რომელთაგან 9 ცოცხალია), ვინმესთან ესაუბრა ამ ფენომენურ ღიღოსტატზე.

საერთოდ კი, როცა დიდ ტენორებს ასახელებთ, ნუ გამოტოვებთ... კარუზოს!

**გივი გამრეკელი.**

— მინიფეხბურთი —

## დაეხმარნენ

დედაქალაქის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (ზ. დოლიძე, ჯ. დვალიშვილი) დარბაზში ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლის ღია ტურნირი „სამობაო თასზე“.

უფროსთა (1986 წელს დაბადებულნი) შეჯიბრებაში 12 გუნდი მონაწილეობდა. მძაფრ ბრძოლაში გამარჯვებული გახდა „აისი-35“ (მერაბ წიკლაური), რომელმაც ფინალში პენალტების სერიით სძლია „დინამოს“ (ძირითადი დრო – 4:4).

უმცროსთა (1987 წელს დაბადებულნი) 16 გუნდის ლავა დინამოელთა გადამწყვეტი მატჩით დაგვირგვინდა, რომელშიც უძლიერესი „დინამო-1“ (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ზორბეგ ებრალიძე) აღმოჩნდა.

ნორჩ ფეხბურთელთათვის გაწეული უანგარო დახმარებისთვის მადლიერების სიტყვებს იმსახურებენ ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის დირექცია და ასპარეზობის მსაჯი ირაკლი ვასაძე.

**ვაჟა დონაძე.**

— ყოველი მხრიდან —

## გაიმარჯვეთ! – ბრძანებს ლუკაშენკო

 დიახ, ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ რესპუბლიკის სპორტსმენებისაგან მოითხოვა მაღალი წარმატებანი, მათ შორის მომავალ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სიდნეიში.

პარასკევს ოლიმპიური კომიტეტის კრებაზე რომ გამოვიდა, ბელორუსიის სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც იმავდროულად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც გახლავთ, მიუთითა ბელორუსი ათლეტების სპორტული შედეგების ამაღლების აუცილებლობაზე. „უნდა ვაჩვენოთ შედეგები! გვეყოფა სიძნელეებზე კვნესა-ჩივილი“ – თქვა პრეზიდენტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბელორუსი სპორტსმენების დაბალი შედეგების მოტივაცია მოგონილი და შეუგნებელია. დაუჯერებელია, კერძოდ ლუკაშენკოს აზრით, ფეხბურთის მოედნებსა და საცურაო აუზებში სპორტსმენების ჩავარდნების გამართლება იმით, რომ ათლეტების კვების რაციონში შედის მაკარონის ნაწარმი, ხოლო ბრესტის (სამხრეთ ბელორუსია) აუზის წყლების ხარისხი უფრო უარესია, ვიდრე საფრანგეთის ანალოგიურ ნაგებობებში.

ლუკაშენკოს თქმით, სახელმწიფო მიზანმიმართულად ახორციელებს მუშაობას სპორტსმენთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პრეზიდენტი დაპირდა ათლეტებს, რომლებიც მაღალ შედეგებს მოიპოვებენ ოლიმპიურ თამაშებზე სიდნეიში, ღირსეულ ჯილდოებს სახელმწიფოსაგან. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში სპორტული მიღწევების შედეგებითაც ყალიბდება სახელმწიფოს იმიჯი.

სპორტის რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 353. ოთხშაბათი, 29 დეკემბერი. 1999 წელი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს ულვაშდამშვენებული ჭაბუკები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებმაც 1941 წლის ივნისში მიიღეს დიპლომები და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში.

სხვადასხვანაირად წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება.

სურათზე: პირველ რიგში, მარცხნიდან: ავქსენტი შეროზია, გიორგი იოსავა, ლეონიდე ჟვანია, გიგლა ჭუბაბრია; მეორე რიგში, მარცხნიდან: ილია დაგარგულია, ვასილ ხუჯაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი.

თბილისი. 1941 წელი.

ფოტო მოგვაწოდა გიორგი იოსავამ.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



— თქვენ, მთვრალმა, მანქანა დააჯახეთ ქალს.

— შეფ, ფხიზელი ნამდვილად ვერ ვიზამდი ამას. ჩემი ცოლია, სხვა რომ არაფერი...

* * *

— გაქვთ ალიბი?

— მაქვს. ვალუტით გნებავთ?

* * *

მილიციელი ქუჩაში კაცს აჩერებს:

— ამ ბოლო დროს საეჭვოდ მორთული დადიხართ. თმებიც შეიღებეთ, ძალიან გახდით. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, სიდოროვ?

— ბოდიში, მე სიდოროვი არ ვარ.

— გვარიც გამოიცვალეთ?

* * *

მოხუცებული ცოლ-ქმარი ახალგაზრდობას იხსენებს:

— ქალიშვილობაში ვანიასთან ერთად ვსეირნობდი, ჩამოვჯდებოდით მდინარის პირას და ვმღეროდით...

— მეც ჭაბუკობაში ერთი გოგო მომწონდა გალია კოროლიოვა... ვინ იცის, სად არის ახლა? ცოცხალია?..

— სულ გამოშტერდა ეს კაცი, ვალია კოროლიოვა მე ვარ.

## „ყველა ქართველი პოეტია“

# მოდის მესამე ათასწლეული

ორიათასწლის ისტორია
ბარდება წარსულს, —
ბრძოლით, ომებით, ქარტეხილით
მისწვდა დასასრულს.

მოდის ახალი, შეუცნობი
ათასწლეული,
მოდის მესამე — დღე ღვთიური
და მისტიური.

ოცდამეერთე საუკუნე
კარზე მომდგარი,
მოგვიკაკუნებს, ზარს ჩამოჰკრავს
ყალყზე შემდგარი.

კაცობრიობის ისტორია, —
ეს არის ბრძოლა,
ცოდნა, ჭიდილი,
ძილ-ღვიძილი
და აზრის სრბოლა.

ქრისტეშობიდან ვიდრე დღემდე
მოდის ქართველი,
შრომით და ბრძოლით მოიპოვა
თვისი სათქმელი.

იხარე, ერო!
შენ ღირსი ხარ
ბედნიერების,
იყავ დღეგრძელი, გინათებდეს
გზები შენების!

მჯერა, მესამე ათასწლეულს
შეხვდები მტკიცედ,
საყვარელ მამულს, ერთგულებას
მარად შეჰფიცებ.

ოცდამეერთე საუკუნე
ინათებს მალე, —
რწმენის, ოცნების და იმედის
ნათელი ხვალე!!!

მირანდა მამალაძე.

## წუთშესვენება

# პარლამენტსგარეშე შეკითხვებს უპასუხებს აზერ სულეიმანოვი

*— რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?*

— დავმდგარიყავი კარგი, პატიოსანი კაცი.

*— ყველაზე სამახსოვრო ბედის გაღიმება.*

— აგერ, საქართველოს პარლამენტის წევრი გავხდი!

*— ცხოვრებაში ყველაზე დიდი მარცხი?*

— მარცხის რა გითხრათ, მაგრამ ყველაზე დიდი საწუხარი მამის დაკარგვა იყო.

*— თქვენს რომელ ღირსებას გამოყოფდით?*

— სწორად ცხოვრებას.

*— თქვენი ნაკლი, რომელსაც ყველა ამჩნევს.*

— ქართული ენის უხეირო ცოდნა.

*— თქვენი სანუკვარი ფიქრი.*

— ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოსვლა.

*— რელიგიური თუ ხართ?*

— როგორც მაჰმადიანი, დაველივარ მეჩეთში და მწამს ალაჰისა.

*— თქვენი დამოკიდებულება დეპუტატის იმუნიტეტთან.*

— იმუნიტეტი თუ ჩამოგვერთმევა, რაღა განსხვავება იქნება პარლამენტარსა და ავტოინსპექტორს შორის?

*— რას ფიქრობთ მეხვედრისას მამაკაცების სისტემატურ, მოდურ გადაკოცნაზე, მათ შორის პარლამენტში?*

— მამაკაცები ცოლს უნდა კოცნიდნენ ყოველდღიურად, და დაჩოქილნი — სახელმწიფო დროშას...

ჩაიწერა
თამაზ ებანოიძემ.

## ოთხშაბათი, 29 დეკემბერი

**[რუსთავი 2]** 07.30 ალიონი. 09.00 აერობიკა. 09.15 ტელემალაზია. 09.25, 23.20 "ვიდეოპატრული-02". 09.40 "ენერგია. 09.55 მხ. ფ. 11.20 "აბლაბუდა". 11.35 "ინტერპანორამა". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15 "ჯანმრთელობა". 12.35 2X24. 12.55 "მრავალჟამიერი". 13.15 "რეტროპერსპექტივა". 13.55 "მოსკოვი - თბილისი". 14.20 "XX საუკუნე - დრო და ადამიანები. 14.35 "არტექსპრესი". 15.15, 19.50 მაესტრო. 15.23 "უჩარჩოოდ". 15.43 "მევერიკი". 17.38 "გვაქვს უთვალავი ფერითა". 18.15 50/50. 18.45 "სენსაცია". 19.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 "რა ხდება?!" 21.35 "ვიზიტი". 22.00 "ვესტნიკი". 22.25 "ტელე-სინე-ვიდეო". 23.00 "საქმე". 23.35 "გრიფით საიდუმლო". 00.20 მხ. ფ.

**[2]** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.18 "ჩიპო". 19.45 საუბრები მართლმადიდებლობაზე. 20.05 რაგბის მოყვარულთათვის. 21.00 "კობრა". 22.00 "ოპტიმისტები". 22.15 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 22.40 "შერეკილები". 00.05 ჰიტ-პარადი.

**[ზ]** 07.00 მუსიკა 07.30 ტული 07.35 ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 „ნანო" 09.40 „სასწრაფო" 10.35 „მაშველები" 11.20 „გვადალუპე" 12.15 მხ. ფ. 14.05 „ტაგერტი" 18.00, 21.00, 22.50, 02.00 კურიერი 18.15 აკუნა მატატა 18.45 „თინეიჯერები" 19.15 „მაშველები" 20.05 „გვადალუპე" 21.50 „ნიკიტა" 23.50 მხ. ფ. 02.10 კლასიკა.

**იბერია** 09.00, 19.00, 22.00, 00.05 ახალი ამბები 09.10, 21.55 „ალსავალი" 09.15 „ძველი ჰანგები" 09.20 „ბურთი და მოედანი" 09.35, 01.45 „ოვაცია" 09.40 „მკვლელობა" 11.10, 12.30, 14.15, 15.40, 17.25 მუსიკალური ტალღა 11.15 „შიშველი იარაღი-3" 12.35 „შვიდი ვარსკვლავის ალმასი" 14.20 „ადამიანი-ორკესტრი" 15.45 „ნილოსის მარგალიტი" 17.30 „სიყვარულის ფორმულა" 19.20 „ძველი ჰანგები" 20.00 „მარტო სახლში" 22.30 „ხმალ-აწეული" 00.05 „ნოსტალგია" 00.10 „ფაკულტეტი".

**ევროპა** 11.00, 18.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 11.30, 18.00 მუსიკალური კოლაჟი. 12.00 პროგრამა "სალონი". 13.30, 20.15 "მთიელი". 14.15 "სასიკვდილო აზრები". 19.00 "ხვალ". 21.00 საბავშვო გადაცემა "ლიტერატურული თეატრი". 21.30 დოკ. ფ. 22.20 "სოკოების შიში".

**IST** 08.00, 17.40 „ტონიკი" 08.15 მხ. ფ. 10.30 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 „ჩიტის გალია". 21.20 „გაქცევა ლოს-ანჯელესიდან". 23.15 „სიცრუის დეტექტორი". 01.10 „თამაში მახსოვრობით" 02.05 ნონ-სტოპი.

**[9]** 09.00 ინფორმაცია „დილას" 09.15, 09.45, 10.10, 12.50, 22.10 მუსიკა 09.25, 18.15 მულტფილმი 09.55 გადაცემა „1952 წელი ლევან ბერძენიშვილის კომენტარებით" 10.20 დოკ. ფ. 10.50 მხ. ფ. 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.45 „დისქავერი" 20.30 საინფორმაციო პროგრამა 20.55 დოკ. ფ. 22.20 მხ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 მხ. ფ.

**[სზ]** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 01.15 „ექო" 10.15, 16.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30, 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე 13.00, 15.15, 21.00, 23.30, 01.30 მხ. ფ. 14.30 მუსიკალური კოლაჟი.

**[1 ОРТ]** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.15 Новости. 10.15 Незабываемые "Новогодние огоньки" XX века. 12.15 Мультфильм. 12.25 "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 13.55 "УХОДЯ - УХОДИ" 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 "Классная компания". 17.00 Зов джунглей. 17.25 "... До 16 и старше". 19.25 Маски-шоу. 20.00 Человек и закон. 20.45 "СЕЗОН ОХОТЫ". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.50 "ТРИ МУШКЕТЕРА". 00.45 "Собрание заблуждений". 01.40 Х/Ф.

**РТР** 07.30, 10.20 Доброе утро, Россия. 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 20.00, 22.00, 2.00 ВЕСТИ 09.15, 00.50 Дежурная часть. 10.20, 11.00, 13.50 "Гомеопатия и здоровье". 10.30 "Арена-спорт". 11.10 "ЦЫГАНКА". 12.00 Х/Ф. 13.00 Мультфильм 14.20 "Сто к одному". Телеигра. 15.10 "АНТОНЕЛЛА". 16.05 "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.00, 02.20 "Магазин на диване". 17.25 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ-2". 18.20 Х/Ф.20.30 Сериал "С НОВЫМ СЧАСТЬЕМ". 21.25 "Сам себе режиссер". 22.50 "ОСНОВНОЕ СОБЫТИЕ". 01.00 Специальный выпуск тележурнала "Кино + ТВ".



# XXI საუკუნეს ვხვდებით XXI საუკუნის მეთოდებით

დიაბეტის, სიმსუქნის, ფარისებრი ჯირკვლის, ენდოკრინული სისტემის და სხვა შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკა. მკურნალობა და პროფილაქტიკა ევროპაში აპრობირებული მეთოდებით. საახალწლო ფასდაკლება.

**საქართველოს დიაბეტის ცენტრი; რესპუბლიკური სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრი**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 5 (დიღომი), რკინიგზის საავადმყოფო, I სართულზე.
ტელ:. 52-70-10.

## შაქრიანი დიაბეტის მქონე პირთა საყურადღებოდ!

საქართველოს დიაბეტის ცენტრი აღრიცხავს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებს, რისთვისაც გთხოვთ შეავსოთ შემდეგი ანკეტა:

1. სახელი, გვარი, ასაკი..............................
2. მისამართი, ტელეფონი..............................
3. წონა, სიმაღლე..............................
4. მიუთითეთ, რამდენი წელია ეწევით სიგარეტს და რამდენ ცალს დღეში?..............................
5. რომელი წლიდან გაქვთ შაქრიანი დიაბეტი?..............................
6. აქვთ ან ჰქონდათ თუ არა დიაბეტი თქვენს ახლო ნათესავებს?..............................
7. შეიცვალა თუ არა თქვენი წონა?..............................
8. მიუთითეთ მკურნალობა (ზუსტად)..............................
9. მიუთითეთ არტერიული წნევის სიდიდე..............................
10. გაქვთ თუ არა გართულებები?
   ა) მხედველობის დაქვეითება..............................
   ბ) მიოკარდიუმის ინფარქტი..............................
   გ) თირკმლის უკმარისობა..............................
   დ) ქვედა კიდურების განგრენა ან ამპუტაცია..............................
11. რა თანხის დახარჯვა შეგიძლიათ მკურნალობისთვის ყოველთვიურად? საერთოდ არ შემიძლია 15 ლ-ზე <15 ლ 30 ლ 50 ლ-ზე>..............................

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ანკეტა (წერილი) ან მობრძანდით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380059, ლიუბლიანას ქ. 5, საქართველოს დიაბეტის ცენტრი.

პირველი კონსულტაცია და შაქრის ერთი ანალიზი უფასოა. მოგემსახურებიან დიაბეტოლოგები, რომლებიც არიან დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციისა და დიაბეტის კვლევის ევროპის ასოციაციის წევრები. ვახდენთ დიაბეტის ზუსტ დიაგნოსტიკას, მკურნალობას, ენიშნავთ ინდივიდუალურ დიეტებს და ვასწავლით, როგორ უნდა მოუაროს თავს პაციენტმა და იცხოვროს დიაბეტთან ერთად ისე, როგორც ჯანმრთელმა ადამიანმა.



## საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის „სოფლის მეურნეობის განვითარების“ პროექტი

აცხადებს ბიდინგს (ტენდერს) გარდაბნის რაიონის მარტყოფის, ახალსოფელის, სართიჭალისა და დიდი ლილოს საკრებულოების ტერიტორიაზე მიწის კადასტრის (აზომვითი და უფლებების დადგენის) სამუშაოების ჩასატარებლად. ოთხი საკრებულოს ტერიტორიაზე ეწყობა ერთი ბიდინგი (ტენდერი) ერთ ლოტად.

სამუშაოს შესრულების მსურველმა იურიდიულმა პირებმა ბიდინგში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ სტანდარტული ფორმით შევსებული განაცხადი და ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ. ბიდინგში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მიიღება ამა წლის 31 დეკემბრიდან 2000 წლის 31 იანვრამდე.

ბიდინგის დოკუმენტები, სტანდარტული ფორმები, კონსულტაცია და დამატებითი ინფორმაცია მსურველებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის „სოფლის მეურნეობის განვითარების“ პროექტის მიწის რეგისტრაციის განყოფილებაში.

მისამართი: ქ. თბილისი,
თამარაშვილის 15 ა,
მე-3 სართული, ოთახი 306,
ტელეფონი: 32-37-69,
53-67-51, 53-67-50.

---

შვილი ჯემალ კეთილაძე, რძალი ნინო მაქაძე, შვილიშვილი ეკა კეთილაძე, სიძე შოთა ნადირაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, გიორგი ნადირაშვილები, მძახლები ჩარიტა ჯაში, გაიოზ ნადირაშვილი, რძალი ნატა ღლონტი, ძმისწულები ლევანი, ნელი ღლონტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯულიეტა ღლონტი

პანაშვიდი 29 XII, 4 სთ. გამოსვენება 30 XII, 2 სთ. დ. აღმაშენებლის პროსპ. №104.

---

გრიგოლიების ოჯახი, ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა ანანიას ასული გრიგოლია

პანაშვიდი 29 XII, 4 სთ. გამოსვენება 30 XII, 2 სთ. ჭონქაძის 10 ა. ბინა 24.

---



საქართველოს კონტროლის პალატა იუწყება, რომ გარდაიცვალა პალატის წამყვანი ინსპექტორი

ზურაბ ქებურია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე ვენერა თეთრაძე, შვილები ნორა, სოსო, შვილიშვილები მარიამი, ლევანი, კახა, სიძე ალეკო ჯაგაშვილი, რძალი ნათელა კილაძე, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან იოსების ძე თეთრაძე

პანაშვიდი 28, 29 XII, 4 სთ. გამოსვენება 30 XII 2 სთ. საბურთალო, დელისის III ქ. №9 (ლისის ტბის საბაგირო გზის სადგურთან).

---

ოჩამჩირის რაიონის გამგეობა დიდი მწუხარებით იუწყება ოჩამჩირის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილის, ბატონ რეზო გაჯის ძე ქობალიას დედის

მიმია სამსონის ასული გოგოხია-ქობალიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა



### ნიკოლოზ (კოლია) ქაშაკაშვილი

ამ პოპულარულ პიროვნებას მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდნენ ორი სამყაროს — ხელოვნებისა და სპორტის თაყვანისმცემლები. ჯერ კიდევ 4-5 წლისა იყო, როცა ჯაზური მუსიკით გატაცებულმა ბიჭმა შეასწავლა რამდენიმე კომპოზიცია. ნიჭიერმა ყმაწვილმა შემდეგ მუსიკალური ათწლედი დაამთავრა. მსმენელის მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ჯაზმენ **კოლია ქაშაკაშვილის** მიერ შესრულებული საკუთარი კომპოზიციები „სექტემბერი“, „თბილისის ღამე“, „ნოსტალგია“, „წყარო“, „ჩემი გული ახალგაზრდაა“ და სხვ. მისი ხელოვნება გამოირჩეოდა რიტმის საოცარი შეგრძნებით, კოლორიტულობით, ტონალობის ცვლით მიღებული ეფექტით, ღრმა ლირიზმით. ამასთან, ჰქონდა შესრულების თავისუფალი მანერა, დარბაზში დომინირებდა სიმსუბუქე, ბგერის ემოციურობა. მუსიკისმცოდნეები მას ფორტეპიანოს ჭეშმარიტ ჯადოქრად მიიჩნევდნენ.

შარშან 60 წლისა გახდა. ერთ დროს ანსამბლ „ჯაზ-შოუ-ბენდის“ ხელმძღვანელი ახალი ანსამბლის შექმნაზე ოცნებობდა, ჩაფიქრებული ჰქონდა დიდი ფორმის ნაწარმოებების — სიუიტას, ბალეტის, ოპერის შექმნაც კი. ცხოვრებისეული სიბრძნე აძლევდა ოცნების სტიმულს, მაგრამ აღარ დასცალდა... აღარ დასცალდა ბოლომდე დამტკბარიყო მეგობრებთან ურთიერთობით, მონაგარით...

მუსიკასთან ერთად ყმაწვილობიდან ეზიარა სპორტს, კერძოდ, ხელბურთს, რომელიც ის-ის იყო ინერგებოდა საქართველოში. თანაგუნდელებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, რათა სპორტის ეს სახეობა თავიდანვე მყარად დამდგარიყო ფეხზე. იმ თაობამ ეს გააკეთა კიდეც. თავად არაერთხელ უასპარეზია საქართველოს ნაკრებში, მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. თუმცა, საბოლოოდ, მასში მაინც მუსიკის სიყვარულმა იმძლავრა და მიუხედავად იმისა, რომ განათლებით მშენებელი ინჟინერი იყო, მთელი ცხოვრება მუსიკას მიუძღვნა. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან უაღრესად ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებელი, ხელბურთის ერთ-ერთი პიონერი, სამშობლოს ღირსეული მოქალაქე, ნაღდი თბილისელი კაცი. კოლია ქაშაკაშვილს მუდამ სიყვარულით მოიგონებს ყველა, რადგან თავადაც სიყვარულისთვის იყო ამქვეყნად მოვლენილი ეს რაინდული ბუნების კაცი.

საქართველოს კულტურის სამინისტრო;
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი.

### მერაბ ქებაძე



ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ასაკში უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე **მერაბ ქებაძე.**

მერაბ ქებაძე დაიბადა 1958 წელს ქ. ჭიათურაში. 1975 წელს წარჩინებით დაამთავრა ჭიათურის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1980 წელს დაამთავრა.

1980 წელს ბატონმა მერაბმა მუშაობა დაიწყო ქ. ჭიათურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში ოსტატად, ხოლო შემდეგ ამ სამმართველოს ხელმძღვანელად.

1995 წელს ბატონ მერაბს ირჩევენ ქ. ჭიათურის პირველ ვიცე-მერად. 1997 წელს კი იგი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში კვების მრეწველობის დეპარტამენტის პროდუქციის ლიცენზირების, სერთიფიკატებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ინიშნება, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა.

წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური, ენერგიით სავსე, საქმისა და ადამიანების მოსიყვარულე კაცი, რომელსაც ქვეყნისათვის ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობელთა და მეგობართა გულში.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს
კვების მრეწველობის დეპარტამენტი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი — რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, — 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით — 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

ნუ დააგვიანებთ ხელმოწერის გაფორმებას!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS–98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.